


ფასი 20 კაპ.

№ 10 (13)



ეგ. ნინოშვილი (ინგოროყვა)

გარდაცვალებიდან 30 წლის შესრულების გამო.

## შინაარსი № 10 (13)


**მეთაური:** ა) ჩვენი აღდგომა, ბ) პირველმაისობა, გ) პოეზიის დღე.

**ნ. შიუკაშვილი**—ქართული თეატრის რეპერტუარი.

**ივ. გომართელი**—მალშტრემ, წერილი 2.

**ვასილ ბარნოვი**—რუსთველის სიტყვა მიჯნურობაზე და ჩასახვა მის პოემისა.

**ბიკტორ თევზაია**—ქართული ლიტერატურა.

**თ. ჯაფარიძისა**—დები.

**ნინო ყიფიანისა**—ჩვენი თეატრის ისტორიისთვის.

**ი.** — ნ. ქართველიშვილი.

**ა. ჭელიძე**—სპარსეთის მწერლობა: ომარ ხაიამ.

**ნ. მარიამიშვილი**—დაბინდული ფიქრები.

**ნა-ზი**—გაზაფხულის მოლოდინში.

**ანრი მიხაელ**—სონეტი.

**იოსებ იმედაშვილი**—ნაამაგდართა ხსოვნას: ეგ. ნინოშვილი; ს. სვიმონიძე.

**ირაკლი ბოხუა**—ტურა ქალები, ვოდევ. 1 მოქ.

№№—სათეატრო მიმოხილვა.



ჟურნალ **„თეატრი და ცხოვრება“**-ში მიიღება

დასაბეჭდად სახელმწიფო თუ კერძო სხვადასხვა დაწესებულებათა, სავაჭრო სახლთა, სანახაობათა და სხვათა

**განცხადებანი** შეღავათიან ფასებში

განცხადებანი უნდა გამოიგზავნოს რედაქციის სახელზე „თეატრი და ცხოვრება“-ს კანტორის (ყოფ. ქართული თეატრის, ან „ახალი კლუბი“-ს შესავალში, სასახლის ქ. № 5), ფოსტით ამავე მისამართით **იოსებ იმედაშვილის** სახელზე. დაბა-სოფლებისა და ტფილისის გარეშე ქალაქების დაწესებულებებმა განცხადებასთან ერთად მისი ღირებულებაც უნდა გამოგზავნონ. ფასი მთელი გვერდის —50 მ. ნახევარი—30 მ., ტექსტის წინ გვ. 100 მ. განცხადებანი 1 მანეთიდან.

---

**მიიღება ხელის მოწერა**

ჟურნალ

**„თეატრი და ცხოვრება“-ზე**

წლიურად—10 მან. გაგზავნით, ნახევარი წლით—6 მან. ხელის მომწერთ გაეგზავნება დღემდე გამოსული ნომრებიც.

მისამართი: ტფილისი—რედაქცია „თეატრი და ცხოვრება“—**იოსებ იმედაშვილს**.

---

✝

**საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების**

**სავაჭრო-სამრეწველო წარმოება**

**„ტეხნო-ქიმიკოსი“**

საავთიაქო საქონლის წარმოება და ვაჭრობა.

მთავარი საწყობი და მმართველობა **ტფილისში**, პლეხ. პროსპ. № 106 (ყ. მიხეილის პროსპ.), ტელეფ. 13-63.

განყოფილება **ბათომში**, ტროცკის ქ. № 14 (ყ. მიხეილის ქ.).

4—2




1910—1924

წელიწადი XIV

№ 10

ფასი 20 კ. ჩერვ.

„თეატრი და ცხოვრება“
ყოველკვირეული სურათებიანი ჟურნალი.

რედაქციის დრ. მისამართი: ყოფ. ქართული თეატრი—სასახლის ქ. № 5, „ახალ კლუბის“-ს შესავალში.

ფოსტით: ტფილისი, რედაქცია „თეატრი და ცხოვრება“,

იოსებ იმედაშვილს.

თეატრი, პოეზია, მუსიკა, მხატვრობა, ქანდაკება, საზოგადოებრივი ცხოვრება

დაარსდა 1910 წ. | 1 მაისი | გამოცემა 1924 წ.

# სადღეისო

**ჩვენი ალდკომა** ჩვენს ქვეყანას შორეულ წარსულიდან არა ერთხელ განუცდია ბედის ტრიალი, არა ერთი სახელმწიფო წყობილება უნახავს.

არა ნაკლებ დააცხავა სხვადასხვა ღმერთობამ და ცრუმორწმუნოებამ, სარწმუნოებად აღიარებულმა.

ამისი დიდი ჭრილობანი დღესაც მძიმე დაღად აჩნია ჩვენს ერს. გვარტომით, სისხლით და ნათესაობით ერთი. ქვეყნის შვილნი სარწმუნოების მხრივ დავსუსტდით, დავიქსაქსენით, ერთი მეორის საწინააღმდეგოდ აღვიმართენით!

და განა ცოტა მსხვერპლი შესწირა კაცობრიობამ სარწმუნოების სახელით!

განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ქრისტიანობა გაბატონებულმა წოდებამ თვისი გაძლიერებისა და მტარვალობის იარაღად გამოიყენა:

მრავალ ათასეულ ხალხს ღმერთისა და მისი „ძის“ ქრისტეს სახელით საიქიოს ბედნიერებას აღუთქვამდა, თვითონ კი სააქაო სიამით სტკბებოდა.

დიდებული მცნება ნაზარეველ მქადაგებელისა, პირველი კომუნისტისა—იესო მაცხოვარისა ფეხქვეშ გაიქელა და მისის სახელით ცრუმორწმუნოებით დაუწყეს კვება ტვირთმძიმეთ, ბეჩავ ხალხს.

რევოლიუციამ დაამხო გაბატონებულთა წყობილება და მასთან ცრუმორწმუნოებით გაჟღენთილი სარწმუნოება.

მაგრამ სწორაზროვნებამ ჯერ კიდევ სავსებით ვერ გაიმარჯვა.

ცრუმორწმუნოების ფესვები ღრმადაა ხალხის სულში გამჯდარი.

აქ უნდა გაშალოს ფრთა მეცნიერება-ხელოვნებამ: დიდებითი სწავლა-განათლებასთან ერთად სახელოვნო შემოქმედებამ.

და ეს ყველაზე უმეტეს დღესა გვჭირია, დღეს, როდესაც სხვადასხვა პოლიტიკურ-დასურმა თუ სარწმუნოებრივ-ჯგუფურმა მიმდინარეობამ ადამიანი დაღრღნა, გაავველურა.

და როცა ცრუმორწმუნოებით გაბანგული კაციჭამიური სარწმუნოება დაემხობა, ის სარწმუნოება, რომელიც ერს ერზე აღაბორგებს, ხალხს—ხალხსამტერებს,—ადამიანის აღდგენა, ჩვენის ერის გამთელება, მშრომელი ხალხის აღდგომაც მაშინ გათენდება!

და ამ დღის მალე გათენებას გისურვებ, ძვირფასო მკითხველო!

—

**პირველ-მაისობა.** მას შემდეგ, რაც ყოველი ქვეყნის გაბატონებულმა წოდებამ თავისი სვებედნიერობის ტახტი მშრომელთა ქედზე ააგო,—მთელის ქვეყნის მშრომელთა გულში პირველი მაისობა ცეცხლის ალად აღინთო.

რა არის პირველი მაისობა?

შრომას სუფევის დამყარებისა და მსოფლიო ძმობის სიმბოლო, ყველა ერის მშრომელთა გაერთსულოვანობის ნიშანი,-უკუღმართობის დამამხობელი რწმენისა და ყიჟინის გამოხატულება.

ამ დღეს მთელი მსოფლიოს მშრომელი ხალხი კიდევ ერთხელ აღუთქვამს ურთი-ერთს, რომ იბრძოლონ იმ დრომდე, ვიდრე კაცთა შორის არ დამყარდება სამართლიანობა და სიმართლე, სიყვარული და ძმობა, წმინდა შრომის სუფევა.

ვაშა პირველ მაისს, ვაშა მისი მცნების მოტრფიალეთ!

—

**პოეზიის დღე.** წლის თვეთა შორის უნაზესი და ჩვენი ერისთვის უნეტარესი თვის მაისის დღე—შვიდმაისობა ქართველი ერის მესაიდუმლეთ, ნაზ სიმთა მოწკრიალეთ უქმად არ აურჩევიათ თავის დღედ.

შვიდი მაისი—პოეზიის დღეა!

ამ დღეს ერთის გრძნობით უნდა შეიფრთხიალოს ყველამ უმაღლესი მისწრაფების—მშვენიერებისა და სიყვარულის, კაცად-კაცობისა და სრულ ქმნილობის რწმენით.

ჩვენი ერის ერთი უმაღლესი სამრეკლო, საიდანაც ზარხის გუგუნი ყველას გულსა სწვდებოდა, იყო პოეზია და ამიერიდანაც ასეთად უნდა გადაიქცეს.

ამ დღეს ყველა ისინი, ვინც ჭეშმარიტად გამთბარია პოეზიის ცეცხლით, მშობლიურ ნიადაგზე აღმოცენილი, თავის განვლილ დღეთა ნააზრ-ნაგრძნობს ჯამს გაუკეთებს და უფრო მძლავრად ჩამოჰკრავს ზარს წინსვლისა, ამაღლებისა და სრულყოფისას!

სალამი თანამოკალმეთ!

---

# ქართული თეატრის რეპერტუარი

როგორი უნდა იყოს ქართული თეატრის რეპერტუარი?

1) ხელოვნება საზოგადოდ და თეატრი კერძოდ უნდა იყოს უპირველესად ყოვლისა—**ჯანსაღი.**

თანამედროვე საეჭვო ღირსების კულტურა აშორებს ადამიანს ბუნებრივ ცხოვრებას და ამწყვდევს მას ყოვლად უგვანო ქალაქურ ყოფაში; ჰგლეჯს ადამიანს გაცილებით მეტს ნერვიულ ენერგიას, ვიდრე შესაძლებელია მისი აღდგენა, სთელავს, აცლის ჯანსაღობის არაქათს. ბირჟის, გამორჩენის, გროშის და სახელის ფუქსავატი ლანდები იპყრობენ დამახინჯებულ, გემოვნება-დაკარგულ ადამიანის უბადრუკ სულს და ესე ლელეჩდება, სნეულდება მასში ჯანსაღი უნარი მზიური სიცოცხლის შეგრძნობა-ბედნიერება! თანამედროვე კულტურა გატენილია დიდი სწავლულობით, ფილოსოფიური ტერმინოლოგიით, აინშტეინის თეორიებით, მაგრამ მოკლებულია უმთავრესს—**სიბრძნეს**!

დასნეულებული კაცობრიობა განაგრძობს ამ გზით სვლას,—საჭიროა მისი გამობრუნება, გაჯანსაღება. ხელოვნებაც, როგორც ერთ-ერთი ფაქტორი ამ სნეული კულტურისა, საკმარისად დასნეულებულია და თავის მძლავრი ზეგავლენით ფრთებს ასხავს ადამიანის გადაჩეხას სიგიჟეში. ხელოვნება უბრალო გართობა არ არის; მასთან ხუმრობა არ შეიძლება. განუსაზღვრელია ჯანსაღი ხელოვნების სიკეთე, მაგრამ ეგრეთვე განუსაზღვრელია სნეული ხელოვნების სიავე! აქედან, თავის-თავად ცხადია ის პასუხისმგებლობა, რომელსაც კისრულობენ ჩვენი თეატრის რეპერტუარის შემდგენელნი და მისი განმსახიერებელნი.

მაგრამ--რა არის ჯანსაღი ხელოვნება?

ეს რთული საკითხია და მის განხილვას აქ ვერ შეუდგებით, მხოლოდ ცხადია, თეატრის მესვეურებს ეს კარგად უნდა ესმოდეთ და ჰგრძნობდნენ მთელს პასუხისმგებლობას. გაკვრით შევეხებით ერთს თანამედროვე სნეული კულტურის საშინელებას—სექსუალობის პრობლემას! ყველა ცოტად თუ მეტად დაკვირვებულმა ადამიანმა კარგად იცის, თუ რა სნეული, მახინჯი სახე მიიღო ამ გრიმასებით პირდაპრანჭულმა მხეცმა. ყოველი ის, რაც ხელს უწყობს ამ გაფითრებულ ცოფიანს, **უნდა ამოდაგული იყოს ხელოვნებაში საზოგადოდ და სცენაზე კერძოდ!** ამას გვალაპარაკებს არც მორალისტის და არც მეუდაბნოვეს ფსიხიკა (ღმერთმა დაგვიფაროს!), მაგრამ უნდა აღვნიშნოთ წლევანდელი სეზონის ერთ-ერთი წარმოდგენა (არ ვასახელებ!), რომელმაც გადუშალა საზოგადოებას ისეთი ულაზათო, ტლანქი, ავადმყოფი სექსუალობის სახეიბა, გადუშალა ისეთი სნეული ექსპრესიით, წვით, ბნედით, რომ ყვითელი ხუროში ჰშხამავდა დარბაზს! მის უტყუარსიავეში უფრო მეტად დავრწმუნდი, როცა ვბრუნდებოდი წარმოდგენიდან სახლში: ქუჩების მისახვევ-მოსახვევებში სამ ადგილას შევხვდი 17—18 წლის მიზარდ მოწაფეთა ჯგუფებს, რომლებიც გასაოცარი ურცხვობით ღრიალებდნენ სცენაზე გამოტანილ ხუროშიანობის ცახცახით! რასაკვირველია, ასეთი სნეულური ავხორციანობის გაშიშვლება არც ხელოვნებაა და მით უმეტეს - არც ჯანსაღი. ეს მხოლოდ ერთი მხარეა სნეული ხელოვნებისა, რომლის მრავალგვარობა ისეთივე დიდია, როგორც თვით ცხოვრება. ცრემლიანობა, უილაჯო წუწუნი, უნდილი პესიმიზმი, უხალისობა, უნიათო ინტელიგენტიზმის პოზები: „ახ, რად გავჩნდი!“ „ოხ, რად ვკვდები!“ — ყოველი ეს სილაჩრის ღუღუნი განდევნილ უნდა იქნას სცენიდან! პირ იქით: გმირული სული, ვაჟკაცობა, იმედიანობა, ხალისი, ჯანსაღი ხარხარი, აღტაცების ჯანსაღი ცრემლები, აი რა უნდა ათრობდეს სცენას!..

2) რეპერტუარი უნდა იყოს **მხატვრული**. ეს თავისთავად ცხადია: მხატვრობა-პოეზიას მოკლებული ხელოვნეპა ხელოვნება აღარ არის და არც ადგილი უნდა ჰქონდეს სცენაზე, თუნდ რომ დიდი აზრების და პრობლემების მატარებელიც იყოს ნაწარმოები. უნდა შევნიშნოთ, რომ ამ მხრივ ერთგვარი დათმობა შესაძლებელია და საჭიროც, მაგრამ დათმობასაც უნდა ჰქონდეს საზღვარი.

3) ღერძი ჩვენი თეატრისა უნდა იყოს ეროვნულ-ორიგინალური დრამატურგია. ვისაც ხელოვნების განვითარება ესმის, ვისაც ჩვენი ეროვნული კულტურის მომავალი ეინტერესება, იმისთვის ეს ცხადი უნდა იყოს და ათიოდე კაცისთვის ამის მტკიცებას არ მოვყვებით. ჯერ ისევ რესკინი აფრთხილებდა ოქსფორდის სტუდენტობას: არ წაგიცდინოთ საბერძნეთის და იტალიის ხელოვნების წაბაძვამ; დიდი შემოქმედების ცხადება შეგიძლიანთ **მხოლოდ როგორც ინგლისელებს!** პირველად ყოვლისა ჩვენ უნდა გვიყვარდეს და ვზრუნავდეთ ჩვენი საკუთარი პირ-დაუბანელი შვილებისთვის, თორემ ქალბატონ ევროპის კოპწია ბავშვების ალერსში სანაგვეში გადაყრილს ჩვენს შვილებს ქეცი და მკბენარი შესჭამს.

4) ჩვენი რეპერტუარი უნდა შევსებულ იქნას თარგმანითაც—უეჭველად! მაგრამ თარგმნილი უეჭველად დიდი ღირებულებისა უნდა იყოს.

5) რეპერტუარის ნაწილი მაინც უნდა იყოს „სამრეკლოიანი“. არ შეგვიძლიან დავკმაყოფილდეთ სანახაობის გართობით და ყოველდღიური წვრილმანობის სურათხატებით; საჭიროა მაღალი დიაპაზონი, სულიერი წვის დიდი ალი, სამარადისო ლანდნების მწვერვალები, „სიცოცხლის შემცნობი და სიკვდილის დამმარცხებელი“ მისტერიები. ნამდვილი ხელოვნება დიდი სიღრმე-სიმაღლის გრძნობებით უნდა ათრობდეს ხალხს.

ნ. შიუკაშვილი.

---

# მალშტრემ

2 *)

გრიგოლ რობაქიძის მალშტრემმა ჩვენი საზოგადოება მძლავრად აამოძრავა.

ერთგვარი ქარიშხალივით შემოიჭრა და ბაბილონის გოდოლივით აღიმართა; მოდუნებული, ინერციით მბჟუტავი აზროვნება შეარხია და ყველა აალაპარაკა.

ეს უკვე დიდი ღირსებაა.

ასეთი აზრთა სხვადასხვაობა ხელოვნების დარგში დიდი ხანია აღარ მახსოვს:

ერთი აღტაცებული აქებს, მეორე გაწიწმატებული აძაგებს.

ესეც დიდი ღირსებაა.

მაქებარიც, მაძაგებელიც ორივე ერთნაირად მოდის ზედიზედ თეატრში.

აძაგებ და მაინც მოდიხარ,—

განა ეს პიესის უდაო ღირსებაზე არ ლაპარაკობს?

აშკარაა, პიესასა ჰქონია რაღაც ძალა, რაც მოწინააღმდეგესაც კი მძლავრად იზიდავს მისი სურვილის წინააღდეგ.

* * *

ყოველ პიესას ორი მხარე აქვს: ლიტერატურული და სცენიური.

ძვირად ნახავთ ისეთ ნაწარმოებს, რომ ორივე მხარე თანასწორად იყოს განვითარებული.

არის პიესა სამაგალითო, როგორც ლიტერატურული ნაწარმოები, მაგრამ სცენისათვის უვარგისია, გამოუსადეგარი.

სამაგიეროდ არის ისეთი პიესაც, რომელიც ნაკლები ღირსების ლიტერატურას წარმოადგენს, მაგრამ სცენისათვის იშვიათია.

პიესა საკითხავად და პიესა საყურებლად სულ სხვადასხვა არის.

თუ რამდენად სცენიურია მალშტრემ, ამას ამტკიცებს მისი ხუთჯერ დადგმა ცხრა დღის განმავლობაში.

მართალია კოტე მარჯანიშვილის ნიჭს ბევრი რამ შეუძლია, მაგრამ თუ ავტორმა არ მისცა მასალა რეჟისორს, ისე არც მას ძალუძს ფრთების გაშლა არწივის სიმარდითა და სიამაყით.

კოტე მარჯანიშვილი დიდი ხელოვანია, მაგრამ ზოგი რამ უსათუოდ უნდა შეასწოროს მალშტრემის დადგმაში:

1. საერთოდ პიესა ეთნოგრაფიის გარეშეა, ამიტომ ქართული ეთნოგრაფიის შეტანა უალაგოა.

2. მეორე მოქმედებაში უნდა ვხედავდეთ თვალით მიწას—აუცილებელია აქ თვალის მომჭრელი ბუნება—ლანდშაფტი.

3. დასასრული უკანასკნელი მოქმედებისა ჯოჯოხეთის ქარიშხალს უნდა გამოსახავდეს.

რას წარმოადგენს პიესა, როგორც ლიტერატურული ნაწარმოები?

დახვეწილი, კრიალა ენა—ზოგან ბრინჯაო, ალაგ მარმარილო, ზოგან ცინცხალი ნაკადული,—თავისებური, შეკუმშული სტილი, ღრმა აზრი შეზავებული ალაგ იუმორით, ალაგ ირონიით, დიად პრობლემათა ხლართი,—აი ყველა ეს ერთად აღებული აქანდაკებენ პიესის მაღალ ღირსებას.

პიესაში არ არის გატარებული ერთი რომელიმე პრობლემა, აქ არის მოცემული რამოდენიმე პრობლემა: ფსიხოლოგიური, სოციალური, ფილოსოფიური.

ამიტომაც პიესა რთულია, მაგრამ ყოველი ხაზი იმდენად მკვეთრად არის გავლებული, რომ გაგება ადვილია მისთვის, ვისაც გონების ამახვილება უყვარს.

* * *

ყოველ დროს საკუთარი გაქანება აქვს, საკუთარი გემოვნება.

კერძოდ სასცენო ხელოვნებას თუ ავიღებთ, ეს გემოვნება მარტო შინაარსში კი არ ისახება, არამედ ფორმაში, ასრულებაში, ეგრედ წოდებულ არხიტექტონიკაში.

---

*) იხ. „თეატრი და ცხოვრება“ № 9.

დრომ საშინელი სიმძაფრით გადაგვისროლა წინ; სხვადასხვა პრობლემა დოლის ცხენივით მიჰქრის ჩვენს წინ და ჩვენც მივსდევთ მას.

ძველი სასცენო ხელოვნების აღარც შინაარსი, აღარც ფორმა აღარ გვაკმაყოფილებს. ახალი კი არსად არის.

საჭიროა ახალის შექმნა.

გრიგოლ რობაქიძის მალშტრემ ძიებაა ამ ახალისა. შეიძლება ბევრი რამ აქ მიუღებელი იყოს ბევრისათვის, მაგრამ ერთი რამ უდაო არის: პიესა როგორც შინაარსით, ისე ფორმით, აგებულებით ახალია.

— სიყვარული და კლასთა ბრძოლა. რა არის აქ ახალი? იტყვის ზოგი.

სიყვარული და კლასთა ბრძოლა ძველია, მაგრამ ახალია ავტორის მიერ გაშუქება ამ პრობლემებისა.

პიესა ვითარდება ორი ხაზით: ხაზი ფსიხოლოგიური—სიყვარული, ხაზი სოციალური. სოციალური ხაზი ორ შტოდ იყოფა: პირველია ქალაქისა და მიწის კულტურის დაპირისპირება, მეორეა კლასთა ბრძოლა.

ეს ორი ხაზი და შტო გადახლართულია ერთმანეთში, შიგვეა ჩაქსოვილი ფილოსოფიური პრობლემა ბედი. ვინც ამ ხლართს არ დაშლის და ცალცალკე არ გამოჰყოფს ყოველ ხაზსა და შტოს, ის, რა თქმა უნდა, ვერაფერს ვერ გაიგებს, მაგრამ ეს არის ნაკლი მაყურებელისა და არა ავტორისა.

პიესის სტრუქტურა მეტად რთულია, მასში არ არის გატარებული ერთი დედააზრი, არამედ შექრილია შიგ რამოდენიმე დებულება და ყველა თავისებურად ვითარდება. სინამდვილეს აქ სცვლის მოჩვენება, დასაჯერებელს—დაუჯერებელი, რეალურს—ფანტასმაგორია, ტრაგიული და კომიკური ხაზები, იუმორი და ირონია ერთად იშლებიან და ავტორის ნიჭის სიძლიერეც სწორედ აქ არის.

ერთი მთავარი პრობლემა არის სიყვარული.

რასა ვხედავთ პიესაში? ქალაქის კულტურამ, ბურჟუაზიულმა არემ ნამდვილი სიყვარული მოსპო. მან ყველგან და ყოველ სფეროში შექმნა მანქანა, ადამიანი აქცია მანქანად და სიყვარული მოათავსა მანქანაში.

ქალაქის კულტურის ერთი დამახასიათებელი წარმომადგენელი როკფელერია.

მორელლას შინაგანი, ნამდვილ ქალური არსება მისთვის მიუწდომელია; მორელლაში ის ჰხედავს მხოლოდ მანქანას, რომელიც მას სჭირდება სიამოვნებისათვის. ამიტომაც არის, რომ მორელლას არც ერთი ნამცეცი არ არის მასი, როდესაც მორელლა თითქოს მისია; მორელლა ერთი წუთითაც კი არ ეკუთვნის მას მაშინ, როდესაც მასთან არის.

ნამდვილი სიყვარულის კვანძი იხკვნება მხოლოდ მაშინ, როდესაც მორელლა და უცნობი ერთმანეთს შეხვდებიან. სიყვარულის უმძაფრესად დაჭიმვა, მისი უკანასკნელ შესაძლებლობამდე დაწურვა სწარმოებს მეორე მოქმედებაში, როდესაც უცნობი მორელლას დასჭრის, რომ მოჰკლას.

— ამისთანა ამბავი ყოველდღე ჰხდება!

— ჩემმა მეზობელმა მედუქნემ თავისი ცოლი ამას წინად იჭვის გამო მოჰკლა! რა არის აქ არაჩვეულებრივი!

ასეთს შენიშვნებს ვისმენდი თეატრში.

საზოგადოების ერთმა ნაწილმა ეს მკვლელობა სრულებით ვერ გაიგო და ვერც შეიგნო.

ამისთანა მკვლელობა ჩვენს დროში არა ჰხდება, იმიტომ რომ ასეთი სიყვარული და ასეთი მტკიცე ნების ადამიანები ჩვენს დროში არ არსებობენ.

სულ სხვაა მკვლელობა იჭვის ან სხვა რაიმე აფექტის დროს. აქ სიყვარული დროებით იჩრდილება და წინ წამოიჭრება გრძნობა მხეცისა.

განა ამასა ვხედავთ მალშტრემში?

არა და არა, არაფერი ამის მსგავსი!

აქ მკვლელობა ჰხდება სწორედ მაშინ, როდესაც სიყვარულის გრძნობა განსაკუთრებით მწვავე და ცხოველია.

აქ მკვლელობას სჩადის ადამიანი სწორედ მაშინ, როდესაც ის უაღრესად ადამიანია.

ეს მკვლელობა ვერ გამოიცნო მაყურებლის ერთმა ნაწილმა, ვერ შეიგნო, ისე როგორც ვერ შეიგნო ის ქალაქმა. ამოიცნო და შეიგნო ის მხოლოდ მიწის კულტურამ ბოშებმა.

სხვა მხრიდან გაშუქებას სიყვარულისას ავტორი გვაძლევს მესამე მოქმედებაში, სადაც ზარიფას არსებაში ყოველისფერს ჩრდილავს და სძლევს სიყვარული. სიყვარულის წინაშე მისთვის არ არსებობს არავითარი დაბრკოლება, არავითარი საფრთხე. თვით სიცოცხლეც მისთვის უმნიშვნელო რამ არის სიყვარულთან შედარებით.

და როდესაც მოულოდნელად გაიგებს, რომ უცნობსს სხვა ჰყვარებია, ერთ წამს მასში ცეცხლი იფეთქებს, მაგრამ მალე მოუბრუნდება, მოულბება გული და ამართლებს უცნობს,—

იმიტომ რომ მან იცის, თუ რა არის სიყვარული.

— სად არის აქ სიყვარულის ძლიერება? მოჰკლა ერთი და ახლა მეორეს ეხვევა? გაიგონებდით მესამე მოქმედების შემდეგ.

სწორედ აქ არის სიყვარულის ძლიერება: უცნობს ზარიფაში მორელლა უყვარს, ზარიფაში ის მხოლოდ მორელლას ჰხედავს, მორელლას ეტრფის და როდესაც უეცრად გაიგებს, რომ მორელლა მკვდარი არ არის, ცოცხალია, ზარიფა იმწამსვე ჰკარგავს იმის თვალში მთელ მიმზიდველობას.

მეოთხე მოქმედებაში სიყვარული კიდევ სხვა მხრივ არის გაშუქებული. აქ სიმძაფრე და სიმწვავე სიყვარულისა გადადის ექსტაზში და ქალი შეიყვარებს უკანასკნელ განწირულთ—კეთროვანებს.

კეთროვანები მაყურებელმა ვერ გაიგო. ის ჰკითხულობდა: ნეტავი ეს კეთროვანები რას ნიშნავენო.

კეთროვანი ნიშნავს მხოლოდ კეთროვანსა.

ის არის განწირული ბედისაგან, უზომოთ უბედური და დატანჯული ადამიანი.

ვის შეუძლია ასეთი ადამიანის შეყვარება? არავის, ისე როგორც არავის არ ძალუძს მუნიანი ძაღლი შეიყვაროს.

მაგრამ ნამდვილი სიყვარულის ძალა სწორეთ ისეთია, რომ ის კეთროვანს შეგაყვარებს,—აი რისი თქმა უნდა ავტორს.

ქვეყანა მუნიანი ძაღლია და ის უნდა შეიყვაროთო, აკი ჰყვირის მორელლა მეხუთე მოქმედებაში.

მეორე მოქმედებაში ავტორი აშორებს ერთმანეთს ორ შეყვარებულს და შეახვედრებს ერთმანეთს უკანასკნელ მოქმედებაში.

რად დასჭირდა ავტორს ეს შეხვედრა? იმისთვის, რომ გააშუქოს სიყვარულის პრობლემა კიდევ ახალის მხრით.

სიყვარულის ტანჯვის შემდეგ შეხვედრა შეყვარებულთა იწვევს უდიდეს გზნებას, რომელმაც ორივე თუ არა—ერთ ერთი უნდა იმსხვერპლოს.

და მორელლაც ველარ უძლებს ასეთ განცდას, კვდება, როგორც უფრო სუსტი, ვიდრე უცნობი.

შეიძლება არ დავეთანხმოთ ავტორის ასეთს გადაჭრას, შეიძლება უფრო მივიღოთ შოთას შეხედულება, მაგრამ ავტორის ანალიზი და გაშუქება სიყვარულის პრობლემისა მეტად თავისებურია და ორიგინალური.

თითქმის ყველა მოქმედებაში დაპირისპირებაა ორი სიყვარულისა, „ქალაქისა“ და „მიწისა“.

ქალაქის სიყვარული განსაკუთრებით არის გაშუქებული მეოთხე მოქმედებაში, სადაც როკფელერის სიყვარული არის მარტოოდენ ძალადობა და მრუშობა.

მაგრამ აქ იწყება გადაშლა უკვე სხვა პრობლემისა და ამაზე შემდეგ.

**ივ. გომართელი.**

# რუსთველის სიტყვა მიჯნურობაზე და ჩასახვა მის პოემისა

მიჯნურობა საზენაო საქმეა მიმცემი ალმა ფრენათა საცნობელად ძნელია იგი, ჰკვიანნიც ვერ მიჰხვდებიან მას, რადგანაც მხოლოდ გონების თვალით მის მთლად შეგნება შეუძლებელია: იგი ეკუთვნის გრძნობათა სამფლობელოს.

მარტო ის ჩასწვდება მიჯნურობას სავსებით, ვისაც ზეამაღლებული ბუნება აქვს და შეუძლიან დაიტიოს გრძნობა დიადი.

გონების თვალით შეიძლება მარტოოდენ დაუახლოვდეს ადამიანი ამ გრძნობას, გაიკვლიოს მისი თვისებები და შეუფარდოს მას თვისი ქმედობა: არ სიძვოს, შორით ბნდებოდეს; ეს მაინც არ იქმნე'ა თვი·ი განცდა მიჯნურობისა, იქმნება მხოლოდ მიბაძვა მისი.

მიჯნურს თითონაც არ შეუძლიან მხოლოდ ჰაზრით ჩასწვდეს ამ გრძნობის სიღრმეს და ჰხატოს

# დ ე ბ ი

სოფლიდან დაბრუნებულმა ქეთევანმა თავისი ალმზრდელი ქალაქი ველარ იცნო. განსაკუთრებით ღამით ჰხიბლავს ელექტროს შუქზე: აქეთ თეატრი იწვევს, იქით კინო, აქ კოპწია კაფე, იქ ხელოვნურად აკინძული სავაჭრო, აგერ—სინაზით მიმზიდველი ყვავილნარი .. მაგრამ რამდენად გარეგნულად უჭრელებს თვალებს დედაქალაქი, იმდენად შინაგნობით უწამლავს სულს: ყველაფერი ქუჩაზეა გამოტანილი, მთელი ქონება ადამიანის, ნ·ვთიერი და ზნეობრივი—გაჩაღებულია ვაჭრობა სინიდისის, ვაჭრობა რწმენის, ვაჭრობა ფულით...

დიაღ, ყოველივე შეცვლილია და ამ ცვლილებაში ყველაზე მეტად აფიქრებს ქალის ფერის ცვლა, მისი აპრიალებული სახე..

* * *

ეკლიანიძის ოჯახი ბევრნაირად მიმზიდველი ოჯახთაგანი იყო, სრული გამომხატველი ჩვენი საზოგადოების იმ შეგნებულ ნაწილის, რომელსაც ინტელიგენცია ჰქვია: უბრალო, სადა, მაგრამ ყოველმხრივ სანუკვარი... ყოველი საჭირ-ბოროტო საკითხი ჩვენი არსებობის, ყოველი ნაბიჯი, ერის საკეთილდღეოთ გადადგმული, იქ გამოძახილს ჰპოვებდა. ასე იყო წინად. მაგრამ მდგომარეობა შეიცვალა: რაც მის დროში მისაღები იყო, ეხლა უკუგდებულ იქნა: თვითონაც ცხოვრების გარეშე დარჩა. ვერ უშველა ვერც მრავალწლობით მოპოებულმა გამოცდილებამ, ვერც თავდადებულმა მოღვაწეობამ. მოხუცებაში შესული მეუღლენი ლუკმა-პურის ზრუნვამ მოიცვა და ხშირად ეს ლუკმა-პურიც არა ჰქონდათ, რამაც გარდაიტანა. დარჩათ ობლად ორი ქალიშვილი: ერთი მათგანი ქეთევანი, რომელმაც თავისი მოვალეობა ხალხის სამსახურში დაინახა და ამ მიზნით სოფელს მიაშურა, მეორე—ტასო, რომელიც ქეთევანის სოფლად წასვლის ჟამს ათავებდა სასწავლებელს.

გავიდა ხანი... დები ერთმანეთის გავლენას დაშორდენ.. შეიცვალა დრო და მასთან ერთად ტასომაც იცვალა ფერი. ქეთევანი ველარ სცობს თავის დას: უმანკო, ცქრიალა გულუბრყვილო გო-

სიტყვით მისი არსება: მიჯნური შმაგია, ამ საზეანო გრძნობით შებყრობილი ალტაცებულია, ხოლო შმაგს არ შეუძლიან ჰსჯელობა: ხელი ვერა იქმს ბრძნობასა.

მიჯნურობა წმიდა გრძნობაა, ტურფა, ფაქიზი, არ სიძვასთან დასადარი: ის ნათელი გულისთქმა იტყვის, მსხვერპლად მიეზლვნას თავისსა რჩეულს, თვით სიცოცხლეც შესწიროს იმას; ეს ბნელი ღელვა მიისწრაფის, თვით შეიწიროს იგი მეორე, სიცოცხლეც მისი. ისინი არსებითად განირჩევიან ერთმანეთისგან, მათ შუა მზღვარი სძევს გარდუვალი და მათი ერთმანეთში გარევა არ შეიძლება.

უძლეველი გრძნობაა მიჯნურობა. სატრფოის დათმობა, მისი თუნდ წუთიერი უარყოფა შეუძლებელია: მიჯნურის გული იმ ერთსა სჯერა, სამუდამოდ თავისსა რჩეულს, თუნდაც სხვის თვალში კუშტი იყოს იგი ან ქუში. გონებისაგან შეგნებული ნაკლიც სატრფოსი ვერ შეასუსტებს მისადმი სწრაფვას: მიჯნურობა გრძნობათა სამფლობელოშია და გონების ხმა სუსტი არის იმის არეში.

მიჯნურობა ამის გამო ხანიერია: მოტრფიალე ველარ მისცემს დავიწყებას თავისსა სატრფოს, ვერც უღალატებს; მას არ შეუძლიან დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა; მიჯნურის არსება მხოლოდ მას ერთს ევლება თავს, ისწრაფის თუნდ მსხვერპლად მიეცეს: მისთვის ჭირი ლხინად უჩანს, მისთვის ცეცხლს მოიდებს, დასთმობს წყრომას მეფეთაგან; თვით სოფელსაც დასტოვებს იგი. აქვს შიში, კრძალვა მხოლოდ მისი, თვის მიჯნურისა.

მიჯნურობა პირადი გრძნობაა. სხვა გარეშე ვერ დასწვდება სხვის ტრფობის სიღრმეს, ვერ შეიგნებს იმის სიტკბოს, ვერც მის სიმწარეს, ვერ იზიარებს. ამისათვის მიჯნურსა ჰხამს არ დაჩენა ჭირთა, მალვა; იგი თვისსა ხვაშიადსა ვერავისა უმჟღავნებდეს; თავს ითავისწინებდეს, რომ მიეცეს განუყოფლად თვის სჯკუთარ სულისკვეთებას. შეჰშვენის მიჯნურს განმარტოება, გასვლა დაკვალული ცხოვრების წრიდან, გაჭრა, სოფლით გაღმა გაბიჯება.

***

გამიჯნურდა ჩემი გულიც! განვიცადე სიკვდილამდინ გასატანი ძალა ტრფობისა. ვის ჰმორჩილებს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი. ამისთვის ვაქებ მზე მეფე თამარს სისხლისა ცრემლ დათხეული: გულმაც მიბრძანა მისად საქებლად თქმა ლექსებისა ტკბილისა.

ის ჩემი სატრფო ჯიქია ჩემთვის და მთლად უწყალო; ხორციელად დამწველი ჩემი, სულის ჩემის ამმაღლებელი. მოუძლურდი მე მიჯნურობით და წამალი არსით არის ჩემის წყლულების; მიწალაა მკურნალი ჩემი, ის მესამაროს!

მიუწთომელია თამარ ჩემთვის: იგი მეფეა, მზე დიდებული, ქვეყნისა მნათი მნათობი, ხოლო მე... ვინმე მესხი მელექსე. გარნა რა ვყო, ოდეს, ლახვარი მეცა ცნობასა და წარმტაცა გული, გონება, მთლად სული?!

დიდებულის თამარის მიჯნურს ჰხამს სიტურფე, ვითა მზეობა, სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე, სიყრმე და მოცალეობა, ენა, გონება, დათმობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა, ჰმართებს ყველა ეს სიკეთე მნათობის ტრფიალს, რომ ნათელს ღვაწლით დაიომოს თვის ნეტარება და შეჰხვდეს სატრფოს ღირსეული, გაბრწყინვებული.

***

მე რომ არ ვიყო რუსთაველდან ვილაც მგოსანი, არამედ ვიყო... ნეტავ ვინ ვიყო? ამირანი დალის შვილი ოქროს თმიანის? არა! იმან ვერ შექმნა ყამარ-ქალთან კერა სანატრი. დიდებული მონადირე როსტომ განთქმული? არა! ვერ იცნო შვილი ოჯა-

გონას ნაცვლად მის წინ სდგას თავხედი, სრულიად დაცილებული იმ საფუძველს, რაზედაც მშობლიურ ჰერ ქვეშ აღიზარდა: მთელი დღე მოხეტიალე, ოჯახს მოწყვეტილი, ფუქსავატობაში ჩაფლული, ალისფერი ტუჩებით, გაგრია.—არა, ეს ჩემი და აღარაა, ფიქრობს ნაღვლიანად ქეთევანი: იგი დაშორებულია ქართველი ქალის შეგნებას, მის მოვალეობას სამშობლოს წინაშე ..

* * *

დიდ დარბაზში, სადაც ტფილისიდან სოფლად გასვლის წინა დღეებში ქეთევანი შოთას დიდებულ ნაწარმოების გარჩევას ისმენდა აღფრთოვანებულ მსმენელთა ტაშის გრიალში, დღეს იქვე ქართველი ქალი თავის გამოსვლას აუწყებს საზოგადოებას: „ახალი ქალი ახალ საქართველოში“.

დარბაზი სავსეა ქალებით, სჭარბობს ახალგაზდობა, არიან მამა-კაცებიც. განსაკუთრებით საინტერესოა ეს საღამო ქეთევანისათვის: გარდა სათაურისა, რომელიც ეხება ქალის დანიშნულებას, მომხსენებელია ტასო, ქეთევანის და. გულის ძგერით ელის ქეთევანი გამო მოხსენებას:

და, აჰა, თავმჯდომარემ საღამო გახსნილად გამოაცხადა. ტასო შეუდგა მოხსენებას, მშვიდი კილოთი, მედიდური გამო მეტყველებით.

„ვინაიდან დიდმა რევოლიუციამ საშინელი ნგრევა მოახდინა ცხოვრების ყოველ დარგში, მისი ახალი საძირკვლის ჩასაყრელად, ქართველი ქალიც ვერ დარჩებოდა საერთო მუშაობის გარეშე, რათა განახლებულ ქვეყანაში ღირსეული ადგილი დაეკავებია. თუ დღემდის ქალის ბეჩავი მდგომარეობა ძილს არავის უფრთხობდა, მისთვის თავს არავინ იტკენდა, დღეს მან გამონახა საშუალება თვით მოიპოვოს ეს საპატიო ადგილი... ამისათვის ჩვენი ჯგუფი, რომელსაც სახელად „ტალღა“ ეწოდება, უერთდება იმ რაინდულ ახალგაზრდობას, ვინც თავს იდვა ახალი ქვეყნის აშენება ძველ ნანგრევებზე: მოსპოს ყოველივე ის, რასაც აზის ნიშანი სიძველის, სიდამპლის, აშმორების, გახრწნილების. ასეთია ჩვენი წარსული ცხოვრება... არ გვწამს დიდი თამარი, ვინაიდან ის კერპად არის აღიარებული,—ახალ საქართველოში ახალი ქალი სხვა შეგნებით, სხვა რწმენით მიიტანს თავის შრომას სამშობლოს საძირკვლის ჩასაყრელათ...

„გაუმარჯოს ძველთან მებრძოლ ახალგაზრდობას და მასთან ერთად ახალ ქალთა ჯგუფს—„ტალღას“...

დასრულებაც არ აცალეს, შეიქნა აურ-ზაური: ძველი და ახალი, მორწმუნე და ურწმუნო ახალი

ხიდან გარს გასულმან, გარეწარ ქ^ნილმან და ღალატით მოჰკლა ვაჟკაცი. მაშ? მე რომ ვიყო ქართველთ ხალხში ზღაპრად თქმული ტარიელ გმირი, ხოლო თამარ ინდონთ მეფის ქალი ნესტანი, მაშინ...

აგერ ტარია მზე-ჭაბუკი, გმირი უებრო. შეავლებს თვალს მზე-ქალს ნესტანსა და...

და მთელი წიგნი ოცნებაა შეუწყვეტელი, ჩვენებით მთვრალი ნიჭის სიტყვა ცხოველმყოფელი. ეს სულ ბოლომდინ, ვიდრე ემდისინ დათავდება ოცნების გრკალი და მიწაზედვე თვალს გაალებს აღტაცებული, კაბადონზედ ჩვეულებრივ არსებობისა.

და იტყვის მწარედ დალონებული:

ეს ყოველივე საარაკო ნატვრა არის ტროფობის ნაყოფი, სრულებით არ ჰგავს სინამდვილეს, უფსრკული რომ გაუპია ჩემს და მის შორის. ეჰ, რაცა ვისა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს! მაგრამ... გული გზნებული არ სჯერდება თავისსა ბედსა! გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღომელი.

მაინც გავლექსავ საარაკო ჩემს ოცნებასა, მწყობრად ავასხავ ობოლობოლ მარგალიტებად: იქნებ ალირსოს მოწონება ჩემსა შრომასა და.,. ჩემმან ხელმქნელმან დამმართოს ლაღმან და ლამაზმა ნები!

აუსრულდა, იტყვის ხალხი, ნატვრა რუსთველსო, დაუმადლა დიდმა თამარმა: ძვირფასი ჯილა რომ ამშვენებს მის ნათელს შუბლსა, თამარ მეფის საჩუქარი არისო ისა. **ვასილ ბარნოვი.**



# ნ. ქართველიშვილი

(1875—1922)

აი, ერთი უკეთილშობილესი ჩუმი უანგარო მოღვაწეთაგანი ქართული სცენისა, რომლის გარდაცვალების ორი წლის თავი გასულ კვირას შესრულდა.

ნიკოს მშობლიურ მწერლობისა და ხელოვნების სიყვარული ოჯახიდანვე მოსდგამდა.

მისი მამა იყო გიორგი ქართველიშვილი, რომ ერთ ხანს გაზ. „დროება“-ს სცემდა 80 იან წლებში, გამოსცა საუცხოვოდ დ. ბაქრაძის და ვახუშტის ნაშრომნი და გვირგვინი ქართულ მწიგნობრობისა დიდი დასურათებული „ვეფხის ტყაოსანი“.

იშვიათია კაცი, რომელსაც ისეთის სათუთის გრძნობით ჰყვარებოდეს საერთოდ ხელოვნება.

იგი არ იყო მსახიობი, მაგრამ იყო უდიდესი არტისტი, ამ სიტყვის სანუკვარ გაგებით, იგი არ იყო მწერალ-დრამატურგი, მაგრამ ჭეშმარიტი მოყვარული მწიგნობრობის, არ იყო მუსიკოსი, მაგრამ მისი უნაზესი ოსტატი.

გარდა პირადი უზომო შრომისა, ნიკომ იმ დროს ოთხას ხუთასი თუმნამდე შეახმარა თეატრს.

იგი მაშინ ჰმზრუნველობდა სცენას და მის ერთგულ მუშაკთ, როცა ქართული თეატრი მივიწყებული, დაწიხლული იყო...

და თუ დღეს ქართულ თეატრს თამამად შეუძლია თვალი გაუსწოროს უცხო სცენებს, ამაში ნიკოს არა ნაკლები ღვაწლი მიუძღვის.

მისივე ლოტბარობით დაიდგა პირველი ქართული ორიგ. ოპ. რ. გოგნიაშვილისა „ქრისტინე“.

საჭიროა რითიმე აღინიშნოს სახელი ამ ქართული სცენისა და მუსიკის რაინდისა! ი.

ქადაგების ურთიერთს შეეტაკა... აირია მონასტერი, აჯახებენ სკამებს, ჰყვირიან.

— რის ახალი, რა ახალი? გინდათ მუშაობა იმუშავეთ, რა საჭიროა ლანძღვა?

— გაგვირკვიეთ, რაში გამოიხატება ეს ახალი თქვენი საქმიანობა? ეკითხება მომხსენებელს ქეთევანი.

— აი, თუ გნებავსთ ქართული თეატრი: მან პირველმა გადადგა ეს ნაბიჯი...

— ჰმ! თეატრი,—შენიშნა მწარე ღიმილით ქეთევანმა,—**მხოლოდ არა ქართული თეატრი,** ვინაიდან რა ხანია, რაც აქ ვიმყოფები და ერთი სურათიც არ მინახავს ქართველი ერის ცხოვრებიდან. თეატრი ცხოვრების სარკეა, თუ ჩვენი დროის დასურათხატებით ხალხს მისი ნაკლი და ღირსება არ ვაგრძნობინეთ, რა სახით უნდა აღინიშნოს ისტორიაში ჩვენი ამ დროის თეატრის არსებობა.

— მაშ თქვენის აზრით, თეატრი მარტო პატრიოტულ პიესებით უნდა იკვებებოდეს! მოგვაძულა თავი „სამშობლომ“ „ღალატმა“ და სხვ.

— სრულებითაც არა! არავინ არის წინააღმდეგი უცხო პიესების, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს ყველაფერი ჩვენი ფეხით გავსთელოთ და დიდებული წარსული წყალს მივსცეთ!

— არ შეაწუხეთ სული! წარსული და წარსული! რას ჩაგვცივებიხართ? გვძაგს, გვეზიზღება ეგ წარსული ჩვენი ცხოვრების.—გააწყვეტინა სიტყვა ქეთევანს, იქვე მყოფ ჯგუფელმა ქალმა.

— ჩვენ ვეძებთ ახალ გზებს,—განუმარტა მეორემ.

— ძირს ძველი კერპები—ილია, აკაკი...

— ჩვენ გვყავს ახალი მოღვაწენი, სხვა ენით მოლაპარაკენი.

— დიდებული მასწავლებელნი!

— ჩვენი ღმერთები!

— საქართველოს ბევრი ღმერთი მოვლენია,—უპასუხა ბოლმა-მორეულმა ქეთევანმა ერთბაშათ ამდგარ დარაზმულ ჯგუფს,—მაგრამ მკვიდრათ თავი ვერ უგვრძვნიათ, ვინაიდან ისინი მის ნიადაგს არ დამყარებიან. ვისაც არ სურს საქართველო იწამოს იმ სახით, რის გამოქანდაკებისათვისაც საუკუნოები შეულევიათ მის ერთგულ შვილთ, ვისაც არ სურს აწ ძველ მუშაკთ ანგარიში გაუწიოს, ვისაც არ სურს მის ეროვნულ შევნებას ემსახუროს, — შორს ჩვენგან...

— ძველი აზრია, დახავსებული!.

— დრომოჭმული!

— კონტრ-რევოლიუცია!

# სპარსეთის მწერლობა

## ომარ ხაიამ (1040-1125)

აჰა, ვცხოვრობდი ამ ქვეყანაზე
და არ მინახავს დღემდე სიამე,
ვიტანჯებოდი... და ვერ გავიგე
სასიხარულო თუ იყო რამე.

—

ვიწოდი როგორც ლამპარი ლხინის
და გავქრი შემდეგ უცებ, უკვალოდ;
დავიმტვერ როგორც ფიალა ღვინის,
უბრალო მტვერათ გადვიქეც მხოლოდ.

—

ამ ქვეყანაზე ყოველივე არარა არის.—
არარა არის თვით ქვეყანაც და საშინელი.
რაც გაგიგია სულ ჭორი და სიცრუე არის,—
რაც კი რამ გითქვამს ამაოა და საძაგელი.

—

მე მხოლოდ მიწა მომაყარევით
გემუდარებით, როდესაც მოვკვდე.
საფლავის ქვას კი ნუ დასდებთ ზევით
არ მინდა რომ მე ვინმეს ვახსოვდე.

—

ჩემი ნაშთი კი—თიხა უბრალო
ღვინით მოზილეთ თქვენ მრავალ გზობათ,
გამოსწვით ცეცხლში როგორც აგური,
რომ გამოადგეს დოქს თავსაცობათ.

—

ჩვენამდეც, ძმაო, ღამე დღეს სცვლიდა
და ვარსკვლავებიც ვიდოდენ ცაზე.
ნურას წააჩდენ უბრალო სვლითა
ფრთხილათ იარე დედამიწაზე.

—

აქ, მიწის მტვერში, ლამაზ თვალების
ნაშთები არის მიმობნეული,
ველარ გაარჩევ და უნებურათ
გაითელება ეს განძეული.

თარგმ. ა. ქელიძის.

## დაბინდული ფიქრები

შორეულ ფიქრის ციალა სარკე
ჩამუქდა სევდის შავი შებურვით;
ღამის ბინდში ვარ მდგომარე ცალკე
აღვსილი ბედის გოდება ურვით.
რა კარგი იყო განცდის წამები,
როდესაც სული ყვაოდა ბაღად,
ოცნების ჯარით გადანამები
მიკოდა სახე მცინარე ლაღად!
და მის ციალმა მჩინარემ ჩადრად
გადამატარა დროთა სერები...
ჩაქრა ნათელი და შავი ჩადრად
მოსჩანან ახლა უბსკრულთ წვერები...
უქვრეტი სივრცე. წავიდე სადა?!
საფლავთან ჰგოდებს სული სნეული,
ბედთან დავკარგე რაც რომ მებადა
და მგზავრად დამრჩა სევდა გრძნეული.
მზიურ ზმანების ციალა სარკე
დაბინდდა დარდის შავი შებურვით,
ღამის ბინდში ვ რ მდგომარე ცალკე,
აღვსილი ბედის გოდება-მდურვით.

ნიკო მარიამიშვ-ლი.

---

— კუზიანს სამარე თუ გაასწორებს!

— დასტოვეთ, ქალებო, დარბაზი, ჩვენ მათთან საერთო არაფერი გვაქვს!

აჩოჩქოლდენ, ლამის ერთმანეთს თვალები ამოკორტნონ: ვინ მუშტებს იქნევს, ვინ სკამებს აჯახებს...

წუთით შემკრთალი ქეთევანი გამოერკვა, უცებს ავარდა ესტრადის პირველ საფეხურზე და მჭექარე ხმით გადასძახა აჩოჩქოლებულ დარბაზს:

— შეჩერდით, გზადაბნეულნო! ნუ თუ მხოლოდ ლვაწლმოსილთა გმობითა და ცრუმეტყველობით გსურთ ბედკრულ დაცემული სამშობლო ქვეყნის აღდგენა..

— ძირს, ძირს!—შეჰყვირეს ერთხმივ ჯგუფიდან!

ქეთევანს სიტყვა სასაზე მიეკრა და მძიმე განცდით მოსცილდა ესტრადას საფეხურს...

თ. ჯაფარიძისა.

---

# გაზაფხულის მოლოდინში

ზამთრის სიცივისგან გათოშილი ბუნება ღვიძებდა.

... მიყრუებულ ბაღის კუნჭულში ვარდის ბუჩქს მზის სხივები ნაზად შესციცინებდნენ... ვარდის ბუჩქი, სიამოვნებით დამთვრალი, თითქოს საღათას ძილს შეეპყრო... თითქოს საუცხოვო სიზმარს წარეტაცნი .

***

ვარდის ბუჩქზედ ეკლებში გახვეული კოკორი გამოჩენილიყო ოლბლად...

მზემ ალერსით მიაფინა სხივები... იგიც მზის სხივების სიხარულს შეუერთდა... სცდილობდა მოეშორებინა მოხვეული ეკლები...

სცდილობდა განთავისუფლებულიყო მათგან...

ეკლებისაგან დახშულს კარ შეეძლო თამამად გადაეშალა ფურცლები და გადაფურჩქვნილიყო წარმტაც ვარდათ... მზის ღიმილით და ალერსით დამთვრალმა მძლავრად შეანძრია თავისი ნაზი ფურცლები და საშიში ეკლები თვითონვე გაიწივნენ განზე...

განთავისუფლებულმა კოკორმა თავი ამაყად ასწია..

## სონეტი

შავად მოსჩანს ჩემს თვალებში დაღლა.
საუბარი სამარესთან მელის,
სადღაც მთებში, შორეულად, გაღმა.

—

გაიმართა მწუხარებით ბრძოლა,
შავ ღრუბლებით დაიფარა ველი,
ალბათ ველი უკანასკნელ გლოვას.

—

მე მინდოდა ვყოფილიყავ მარტო,
და ფიქრები გამეგზავნა გაღმა,—
მაგრამ შენზე უზოგველად ვდარდობ,
მე ხომ შენთან განვიცადე დაღლა.

—

ჩემს სხეულზე გადაივლის მარცხი,
შენთან მოვალ გაყინული ადრე,—
ლხინს გავატან ზეცისაკენ არწივს,
და შენს სახლთან ჩამოუშვებ ფარდებს.

ანრი მიხაელ



**ლორდ ბაირონი (1788—1824)**
ინგლისის სახელგანთქმული მგოსანი, გარდაცვალებიდან ასი წლის შესრულების გამო. ქართულად ნათარგმნია მისი „ჩაილდ ჰაროლდი და სხ.

# ქართული ლიტერატურა

## „მნათობი“ № 1.

### (მკითხველის შენიშვნები)

ნურაიინ შეგვწამებს ტოლსტოელობას, თუ მისი მხატვრული ნაწარმოებით ვისარგებლებთ. თავის „აღდგომას“ რუსი მხატვარი შემდეგი სიტყვებით

ემზადებოდა გადა!აფურჩქნელად...

მიყრუებული კუთხე ბაღისა სამოთხის კუნჭულად გადაქცეულიყო...

ათასნაირი ყვავილი... ათასნაირი ფრინველი ალამაზ-ახმაურებდა იქაურობას.. ვარდის ბუჩქის მახლობლადაც, მშვენიერი, მაღალი, მძლავრი იასამანი ატყორცნილიყო. .

იასამნის გადაფურჩქნილი ტოტი ვარდის კოკორს მიახლოვებოდა...

მისი სურნელებით დამთვრალი კოკორი გაკვირვებით იცქირებოდა გარშემო ..

იასამანი ამაყად, რაღაც უცნაური ღიმილით დასცქეროდა ვარდის კოკორს...

— რა არის?.!. რა მესმის?!.. ვინ არის აქ?!...

— მე ვარ! შენი თაყვანისმცემელი! . შენი მევობარი!.

შეკრთა კოკორი... მიტრიალდა და დაინახა იასამანი...

რაღაც უცნაურმა, დამათრობელმა გრძნობამ შეიპყრო ის... უფრო გაწითლდა, გასწორდა წელში, და შეუყვარდა იასამანი..

იასამანი უფრო და უფრო მომხიბლავად ჩასჩურჩულებდა.

უხატავდა ზღაპრული ოცნების ქვეყანას.. სადაც არ არსებობს, ტანჯვა ..

სადაც სუფევს მხოლოდ სიყვარული და ბედნიერება...

გაბრუებულმა კოკორმა ეკლები მთლად მოიშორა..

თავდავიწყებამდის შეყვარებული მზად იყო იასამანს შეერთებოდა მთელი თავისი არსებით...

იასამანი თანდათან უახლოვდებოდა...

თითქოს მზად იყო კოკორი გულში ჩაეკრა...

კოკორიც მთელი თავის სინაზით მიისწრაფებოდა იასამანისკენ ..

იასამანის სიახლოვე ვარდის კოკორს უფრო და უფრო ათრთობ-აბრუებდა...

კოკორი სიამოვნებისაგან თრთოდა, წითლდებოდა, იფურჩქნებოდა...

მთლად დაბნედილი მიეკრა იასამანს, სიყვარულით ჩახედა თვალებში და...

შეკრთა,.. საშინლად აკანკალდა... განშორდა იასამანს ..

ჩაიხვია ფურცლები და ჩაიმალა ეკლებში...

ნა—ზი.

იწყებს: „რამდენადაც არ ცდილობდენ ადამიანები, რომელნიც რამოდენიმე ათი-ათასობით შეჯგუფულან პატარა მანძილზე, დაემახინჯებიათ ის მიწა-წყალი, სადაც ისინი ცხოვრობდენ, ისე მოეკენჭათ მიწა, რომ იქ არაფერი ამოსულიყო, მოეჭრათ ნორჩი ბალახიც და ესუნთქათ ქვა-ნახშირით და ნავთით, ჩამოეჭრათ ხეების შტოები და გაერეკათ პირუტყვები და ფრინველები—გაზაფხული ქალაქშიაც კი მაინც გაზაფხული იყო“.

მიუხედავად ცნობილ პირობებისა, რომლის მთავარი წყარო ეკონომიური სიდუხჭირეა, ქართული ლიტერატურა მაინც ცოცხლობს და პოეტისა არ იყოს, „ვინც ინატრის იმის სიკვდილს, უმალ მასვე დაამიწებს“.

რას ვეძახით ქართულ ლიტერატურას? მშობლიურ ენაზე დაწერილ აზრთა და სურათთა კრებულს? ეს არ არის საკმარისი. ამავე დროს ის უნდა იყოს გამოძახილი ქართველი საზოგადოების რომელიმე ნაწილის, ან მისი მთლიანობის და მისი გონების და გულის მოთხოვნილებას უნდა აკმაყოფილებდეს.

პირველ წერილში („თ. და ც.“ № 9) ჩვენ ვწერდით „კავკასიონზე“. ახლა მოკლედ შევეხებით „მნათობს“. უკანასკნელის რედაქცია აცხადებს, რომ მას აზრად აქვს „თავის გარშემო შემოიკრიბოს რევოლიუციონური ინტელიგენციის საუკეთესო ძალები“. ეს განცხადება ერთის მხრივ თითქოს გასაგებია, მაგრამ მეორე მხრივ, ის საკმაოდ ბუნდოვანია. ტერმინი „რევოლიუციონური ინტელიგენცია“ ძველი რუსული ლიტერატურიდან არის ნასესხები. ეს შეიძლება ითქვას, ზედნაშენია ეგრედ წოდებულ „რევოლიუციონურ დემოკრატიის“. დღევანდელ პირობებში „მნათობის“ რედაქციას ძლიერ გაუჭირდება შემოხაზვა იმ წრის, რომლის ფარგლებში უნდა მოყვეს მხოლოდ „რევოლიუციონური ინტელიგენცია“. მაგრამ ამაზე სიტყვას ნუ გავაგრძელებთ. გავიხსენოთ გოეთეს სიტყვები: პირველიდან იყო საქმეო. უსათუოდ რედაქცია მომავალი გამოცემების შინაარსით დაგვანახვებს, თუ ვინ ყოფილა „რევოლიუციონური ინტელიგენცია“.

პირველ ნომერში იბეჭდება დემნა შენგელაიას „სანავარდო“. ის არ არის დამთავრებული. საერთოდ ამ ავტორზე უნდა ითქვას, რომ მას უფრო ეხერხებოდა მინიატიურები. აქ ის „დღეების, კვირეების და თვეების“ ცვალებად სურათების ხატვით დაინტერესებულა. აქ ერთი ხიფათს უნდა ერიდოს ავტორი. გადიდებულ მინიატიურას არ უნდა მიეცეს მონოტონიური მიმდინარეობა.

ტარასოვ-რადიონოვს ეკუთვნის ფანტასტიური ამბავი—შოკოლადი, თარგმანია რუსულიდან. აქ საერთოდ უნდა ითქვას შემდეგი. უცხოეთის ლიტერატურიდან უნდა თარგმნო, ან მოათავსო ხელნაწერიდან ნათარგმნი, ისეთი რამე, რაც განსაკუთრებული ყურადღების ღირსია შინაარსით და ფორმით. ამ მხრივ ტარასოვ-რადიონოვის შოკოლადი უნუგეშოა. მასალა აღებულია „ჩეკის“ ცხოვრებიდან. თქვენ წინ არის ზუდინი—ყოფილი მუშა—ამ დაწესებულების ხელმძღვანელი. ის ტარასოვ-როდიონოვს კეთილშობილ ადამიანად გამოყავს. მასთან იმყოფება მისი თანამშრომელი „შავგრემანი, ბრილიანტის თვალიანი ბეჭდით ხელზედ, რომელიც იღებს **პორტსიგარს**, ოქროს დიდი მონოგრამით და თითს არტყამს უშნოდ“ ეს ბოროტია. აქ ავტორი ერთი ძველი ფილოსოფოსს ბაძავს, რომელიც დასაბამიდან ორი მოწინამდეგეობის თანაარსებობას ასაბუთებდა: თეთრი, შავი; დღე, ღამე; სიცივე, სიცხე; კეთილი, ბოროტი და სხ. ავტორი ვერ მიმხვდარა, რომ სიბოროტე და სიკეთე მდგომარეობიდან არის დამოკიდებული. თქვენ რომ ყველაზე საცოდავ მოქალაქეს კომისრობა უბოძოთ, ის ჩქარა ბაყაყივით გაიბერება. ამავე დროს ყველაზე მედიდური უბერ-კომისარი შრომის ბირჟაში რომ ჩაწერო, ჩქარა ისე მოიკაკვება, როგორც ოთხმოცი წლის დედაბერი. ორივე შემთხვევაში ეს შედეგია მდგომარეობით გამოწვეულ განცდის. პსიხოლოგია ანარეკლია საზოგადოებრივი ფუნქციის. ეს ვერ შეუგნია ტარასოვს და მისი ესკიზიც საკმარისად შაბლონურია. ჩვენ ურჩევთ „მნათობის“ რედაქციას თარგმნოს ანატოლ ფრანსის ცნობილი „Les Dieux ont soif“ (ღმერთებს სწყურიათ). იქ ბევრი საჩოთირო სურათებია მოცემული, მაგრამ გრძნობ, რომ მომქმედი პირები სოციალური ჭიდილის, რაც მექანიკურ ტრიალად გადაქცეულა, გავლენის ქვეშ მოქმედებენ დ ტრაღიკულ მდგომარეობაში ვარდებიან. იქ ხელოვნურად არ გეჩვენება, როდესაც ტერორის წარმომადგენელი ნამუსს ხდის ქალს, რომელიც ძმის (ნამდვილად საქმროს) განთავისუფლებას თხოულობს, ხოლო მეორე დღეს ეშაფოტზე აგზავნის ტუსაღს. ეს სურათი უფრო ღრმაა, ვიდრე როდიონოვების „ბრილიანტის ბეჭედი და ოქროს მონოგრამა“.

ჟურნალში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს პუბლიცისტიკას. აქ ვხედავთ კომუნისტების წერილებს, რომელნიც ბუნებრივად პროგრამული ხასიათისაა. აქ ცოტად შევჩერდებით ერთ წერილზე. ნ. კიკნაძე სწერს ინგლისის მუშათა მთავრობებზე. წერილი საკმაოდ ობიექტიურია და შინაარსიანი. სრული სიმართლეა, რომ ინგლისის მუშათა პარტია პრაქტიციზმით და რეფორმისტული პსიხოლოგიით ისეა გაჟღენთილი, როგორც არც ერთი ევროპის სოციალისტური პარტია. ჩვენ ვიცით ამასთან, რომ ის საკმაოდ არის შეპყრობილი რელიგიური განცდით. ამაზე შევჩერდეთ. საქართველოს ზოგიერთ სოფლებში ეკლესიები დაიკეტა, ინგლისში ლაბურისტ მუშები და კომუნისტებიც სახარებას იზეპირებენ. მიუხედავად ამისა ინგლისელი მუშა უდაოდ უფრო პროგრესიული მოაზროვნეა, ვიდრე სამეგრელოს გლეხი. ყოვლად შეუძლებელია, რომ ბუნებაზე ჰქონდეს უფრო ნათელი წარმოდგენა იმ მეურნეს, რომელსაც წისქვილში ზურგით დააქვს სიმინდი, „ბატონებს“ შელოცვებით კურნავს და რომლის ნაამა-

გარი თითქმის ყოველ შემოდგომაზე წყალდიდობას მიაქვს, ვიდრე იმ ინგლისელს, რომელიც მექანიკურად აწყობილ მეურნეობას ეწევა და რომელმაც დიდი ხანია დაივიწყა ქაჯების არსებობა, რომელიც დ. შენგელაიას გმირს—ციცინას—ასე უმწარებს დღეებს. თეთრი გუმბათიანი ეკლესია არ არის რელიგია. ის მხოლოდ მისი ერთი გამოხატულებათაგანია. მსოფლმხედველობა იქმნება საერთოდ საწარმოო ძალების გავლენის ქვეშ. საქართველოს პრიმიტიული მეურნეობა აუცილებლობის კანონით ასაზრდოებს ცრუ-მორწმუნეობას, ამ პირველყოფილ სტიქიას. დღევანდელი ეკონომიურ-კულტურული დონე ინგლისელ მოქალაქეს აჩერებს უფრო განვითარებულ რელიგიაზე და დღევანდელი სოციალური ურთი-ერთობა სავსებით ვერ ათავისუფლებს თეოლოგიურ შეხედულობიდან.

კითხვა იბადება: დიდად უშლის ხელს ინგლისის მუშებს სახარების კითხვა პოლიტიკურ ბრძოლაში? არც იმდენად. ყოველ შემთხვევაში ისინი იმდენად უხეიროდ მაინც არ იბრძვიან, როგორც საფრანგეთის ათეისტ-სინდიკალისტები. მოვიგონოთ მარქსის სიტყვები: **„ინგლისის** ისტორიამ საკმაოდ დაამტკიცა, რომ ღვთაებრივი გამოცხადების იდეია ზევიდან ბადებს მოწინააღმდეგე იდეიას ქვევიდან ღვთაებრივი გამოცხადებისას. კარლოს პირველი ეშაფოტზედ ავიდა ქვევიდან ღვთაებრივი გამოცხადების მეოხებით“. მარქსს სახეში აქვს კრომველის რაზმები, რომელთაც სახარებით ხელში გაანადგურეს ინგლისის დინასტია. თანამედროვე სოციალური ჰიდილიც ინგლისში ადვილად წარმოსადგენია საღვთისმეტყველო სიტყვებით შეკამათებით, მაკდონალდი ან სხვა ვინმე იოანეს სახარებით ხელში, ხოლო ბალდვინი—მათესი, ეს იქნება ინგლისის ისტორიის უკანასკნელი ღვთაებრივი გამოცხადების „გახუმრება“.

**ბიკტორ თევზაია.**

# ჩვენი თეატრის ისტორიისთვის

თუ საერთო ჭირად არის ცნობილი, რომ მსახიობი უმეტეს წილად ნივთიერ შევიწროვებას განცდის, ეს ათკეცად ხვდებოდა ჩვენს მსახიობს, თუ ეხლა არა, წარსულში მაინც.

ათკეცი იყო მისი გაჭირვება მით, რომ ნივთიერად არა უზრუნველყოფის გარდა, თავის დედა-ქალაქში მუდმივი ბინაც არა ჰქონდა წარმოდგენებისათვის.

რეპეტიციისთვის ვილა სჩიოდა, თუ კი დაეთმობოდა მას თეატრის ჩარდახი, ან, უკეთეს შემთხვევაში, ფოიე თეატრისა. ყველა ბატონი იყო თეატრებში, გარდა ქართველი მსახიობისა. მას მხოლოდ მაშინ დაეთმობოდა სცენა, როდესაც არავის არ სჭირდებოდა და ეს კი იშვიათი იყო.

ღრმად მაქვს ხსოვნაში ჩაბეჭდილი შემდეგი პატარა ეპიზოდი ჩვენი დიდი არტისტების ცხოვრებისა: კერძო ბინა არის. შემოდგომის საღამოა. სეზონში უთეატროდ დარჩენილ არტისტებს თავი მოუყრიათ.

ესენი არიან ვასო აბაშიძე, ნატო გაბუნია ნინო ჩხეიძე, ვალერიან გუნია, კოტე ყიფიანი.

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მოხერხებული რეპეტიცია ექნებოდათ კერძო ბინის ერთ საშუალო ოთახში! მაგრამ ნინო ჩხეიძის უხერხული მდგომარეობა უფრო განსაკუთრებულია; მას თვისი შვილი, ორიოდე თვის ბავშვი, თან ჰყავს, დიასახლისის საწოლზე სძინავს.

დრო და დრო ბავშვის ტირილზე დედა—ნინო შეირბენს მეორე ოთახში, მიიკრავს მკერდზე თავის საუნჯეს, დააკმაყოფილებს და ისევ თავის სასცენო როლს მიუბრუნდება!

გარედ კი კოკისპირულად წვიმს! აგერ მალე გათავდება რეპეტიცია, უკვე ღამეა და ნინომ კი ეს ძუძუმწოვარა ასეთ ამინდში სახლში უნდა წაიყვანოს!

ბავშვი რად მიიყვანა?! მაშ როგორ მოქცეულიყო მსახიობი—დედა? არა ჰქონდა მოწყობილი ბინა ისე, არა ჰყავდა ძიძა, ან მომვლელი, რომ ბავშვი შინ დაეტოვებინა და არც საქმის ღალატი შეეძლო!

და ბევრს, ბევრს მეუპნებოდა ჩვენი მსახიობის მდგომარეობაზე ის, როდესაც ნინომ შეფუთვნილი ბავშვი მიიკრა გულზე და წვიმიან სიბნელეში თავის ბინისკენ გზას გაუყენა.

ასეთი გაწვალებით ეწეოდნენ სასცენო უღელს ბურჯნი ჩვენი თეატრისა, ასეთი იყო მათი საქმის სიყვარული. სიმშილი და უბინაობით გაჭირვება მეგობრულად თან ახლდათ მუდამ, მაგრამ მაინც ებრძოდნენ შავ—ბედს, ქედს არ უხრიდენ მას, აწარმოებდნენ საყვარელ საქმეს.

როგორი ღა იყო ის საქმე ჩვენთვის, რომელსაც ისინი ემსახურებოდნენ?

რომელი ერისთვის არ იყო და არის თეატრი საჭირო, აუცილებელი? მაგრამ ქართველებისათვის საჭირო იყო თეატრი უაღრესად.

გარდა ხელოვნური ტაძრისა, თეატრი იყო ჩვენთვის სკოლა ქართული ენისა, ადგილი ერთად თავის მოყრისა, ქართულად სამუსაიფოდ.

სიყრმიდანვე უცხო ენას მიჩვეულნი, ოჯახებშიც ეს უცხო ენა იყო გამეფებული და აი სცენიდან მოსმენილი ქართულის გავლენით, თეატრში მაინც ვლაპარაკობდით ქართულად!

მაგრამ განა მარტო ენას გვანარჩუნებდა თეატრი? თეატრი იყო, რომ ჩვენი ერის წარსულის დახატვით აწმყოს შეგვადარებინებდა; მოგვაგონებდა, თუ როგორი პატრონები ვიყავით ჩვენი თავისა

წარსულში, და როგორი მონები ვართ აწმყოში. გულდამწვარს პატრიოტებს კეთილშობილურად აღელვებდა, ხოლო გულ-გაგრილებულს—გადაგვარებულს ცოტათი მაინც ჩააფიქრებებდა, დაარცხვენდა.

ამ მხრივ, რა თქმა უნდა, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ ისტორიულ პიესებს. არ დამავიწყდება „სამშობლოს“ პირველი შთაბეჭდილება!

ერთს დროს აკრძალვას განვლილი „სამშობლო“, თითქმის ყოველთვის გაჭედილ დარბაზს იზიდავდა. ისე იყო ხალხით გაჭედილი დარბაზი მაშინაც.

ბევრი იყო ჩემთან ერთად, რომ „სამშობლო“ ჯერ არ ენახა.

აი იშლება ჩვენ თვალწინ შაჰის მეუფეობა საქართველოში! „ეს ხომ ასეა ეცხლაც! რა ვუყოთ, რომ შაჰის მაგიერ რუსეთის მეფეა“.

გული ბოლმით ივსება მომქმედ მამულიშვილებთან ერთად!

გამოიჭრება სცენაზე გამწარებული დედა, ჰკოდებს, მოსთქვამს უდანაშაულოდ მოკლულ შვილს და.. გიტაცებს რაღაცა ძალა, რომ გადაეშვა სცენაზე, გაიზიარო დედის ხვედრი და შეებრძოლო მტარვალებს! სტირის დედა და სტირის მასთან თეატრი! ეს დედა ხდება მისთვის განხორციელება საქართველოსი: „ასე ჰგმინავდა ის შაჰის კირთებ ქვეშ ოდესღაც, ასე იტანჯება ის მეფის უღელში ეხლაც!“.

და შფოთავს, ღელავს მთელი დარბაზი!

მაგრამ აგერ შეთქმულნი მებრძოლნიც!

მტკიცედ სდგანან გაშლილ დროშის ქვეშ ფიცის მისაღებად დამონებული ხალხის ერთგულებისათვის!

„ღმერთო ძლიერო, ეს ქვეყანა შენი ხვედრია!“

— გაისმის ვედრება სიმონ ლეონიძისა და ელექტრონის ტოკად გივლის ტანში ეს სიტყვები, გეზიდებიან მეომრებთან შეთქმულობა ში სრულის გულით, გონებით, ცრემლებით!..

...დამონებულ სამშობლოს ეწირებიან საუკეთესო შვილნი და შენც ალმერთებ მათ, კვალ და კვალ მისდევ მათს სიხარულს, მათს ტანჯვასა!

—„ლევან, ალთქმა არ დაგავიწყდეს!“

ისმის მკვეთრი ხმა სვიმონისა და შენც იმსჭვალები ამ ალთქმით, შენი ქვეყნის წინაშე დაბადებითვე თანდაყოლილი წმინდა ალთქმით, რომ მას არას დროს არ უღალატებ!

მაგრამ აგერ მოისმის კნესა, გმინვა წამებული მამულიშვილისა.. და საერთო ზართან ერთად, იბადება ის გრძნობაც, რომ ეს წამება არის გმირის მიერ დატოვებული საწინდარი ბრძოლისა—თავისუფლებისათვის!

ასეთი იყო შთაბეჭდილება „სამშობლოსი“ ჩვენზე.

ეს როდი იყო დრამის ზეგავლენით საკაცობრიო კითხვების გარშემო დატრიალებული განცდანი! არა, ამ გრძნობას, ამ შთაბეჭდილებას პირდაპირ ჰქონდა კავშირი სამშობლოს სიყვარულთან, მისი ბედით ტანჯულ გულთან!

ასეთი იყო გავლენა ჩვენი თეატრისა ქართველზე. ტაძარი იგი ხელოვნებისა აფაქიზებდა მის სულს, მოუწოდებდა მას საკაცობრიო იდეალებისაკენ, მაგრამ ამავე დროს უნახავდა მას ენას, აცნობებდა, აყვარებდა თავის თავს, აწვავლიდა ბრძოლასა!..

ამიტომ დიდება და პატივი მათ, ვინც იმდენი განიცადეს და მათ გვაცდევინეს, ისეთს დროს სწიეს მძიმე უღელი ქართველ მსახიობებისა და ახალ თაობას ცოცხალი ჩააბარეს ჩვენი სამშობლო თეატრი!

**ნინო უ ფიანი**

---

# ნაამაგდართა ხსოვნას

ეგ. ნინოშვილი

**(გარდაცვალებიდან 30 წ. შესრულების გამო).**

საქართველოს შუქმფენ მოღვაწეთა შორის ეგ. ნინოშვილი მოთინათინობს ვით ბნელ ღამეში შუქურ-ვარსკვლავი, გზის მაჩვენებელი.

კრიტიკამ მას უწოდა „ხალხის გულის მესაიდუმლე“, ხოლო მუშა-მშრომელმა — „ჩვენი ეგნატე!“

ოცდაათი წელიწადი გავიდა, რაც ტანმორჩილი, სხეულით სნეული, მაგრამ სულით გოლიათი, უბრწყინვალესი კანდელი ტანჯულ-წამებულ თანამოძმეთა, ჩაქრა.

ვინ იყო იგი?

ნინოშვილი ეგნატე (ინგოროყვა), ბელეტრისტი და პირველი მარქსისტული ჯგუფის დამარსებელი, დ. 1861 წ. ს. ჩიქვეთს, ჩოჩხათის საზ, ოზურ. მ.—გურიაში. 6 თვისას დედა გარდაეცვალა და მამიდა ნინომ აღზარდა; მანვე ასწავლა ანბანი. 8 წლიდან იყო მოჯამაგირედ (მღვდელთან. აქ ისწავლა ხუცური), ხელზე მოსამსახურედ (ხეტყის ვაჭართან), მეძროხედ 1871—75 წ.წ. იმავე დროს წიგნს არ იშორებს). 1876 წ. სასწავლებელში უწესოების მეთაურობის გამო მე-4-ე კლასიდან დაითხოვეს და ისეთი მოწმობა მისცეს, რომ სასწავლებელში ვეღარსად შეესვლებოდა. 1879 წ. ქუთ. ჩააბარა სახალხო მასწავლებლის გამოცდა, ჩოჩხათის საზ-ის სკოლაში გამწესდა მასწავლებლად, შემდეგ ტელეგრაფის ხელობა შეისწავლა და ტელეგრაფისტად შევიდა—1884 წ. ტფ. ა. კალანდაძის სტამბაში ასოთამწყობად მუშაობდა, დღეში 7 კაპ. 1885 წ. სოფელშივე 6 თვე სოფლის მწერლად იმსახურა ფუ-

ლის საშოვნელად, რომ სწავლა განეგრძო. 1886 წ. საფრანგეთს წავიდა, შემოიარა პარიზი, მონპელიე. 6 თ. შემდეგ საქართველოშივე დაბრუნდა (გრ. გურიელთან მწერლად, სადაც წიგნების კითხვას დაეწაფა). 1889 წ. ბათომს გადავიდა ნავთის ქარხანაში შავ მუშად, შემდეგ როტშილდის ქარხანაში 1890 წ. ნ. ლოლობერიძის კანტორაში, დ. ზესტაფონს, აქედან—ტფილისს გადავიდა. ცხოვრობდა მ. ცხაკაიასთან ერთად მიხეილის პრ. (აწინდელი პლეხანოვისა), ბნელ სარდაფში. ამ დროს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება შეტბორებული იყო, მოღვაწეთა ყურადღება ბანკობიას უტრიალებდა, თავად-აზნაურთა ქონებრივ-გონებრივ მოსულიერებას, გლეხკაცობასა და მუშა ხალხს მაღლიდან დასცქეროდენ, ხალხი გაურკვეველ ბრბოს წარმოადგენდა, ერად—თავად-აზნაურობას სცნობდნენ. ნ-მა გარს შემოიკრიბა მოწინავე ახალგაზდები, პირველი მარქსისტული წრე შეადგინა—ს. ჯიბლაძე, ნ. ჟორდანია, ვლ. დარჩიაშვილი, რ. კალაძე, კ. ჩხეიძე, მ. ცხაკაია და სხ., ყველა ესენი იმ დროს ცხოვრების გვრებად აღიარებულნი, მათ ბეჩავი ხალხის სამსახურის შენება გაულვია.

ნ-მა მალე აართო ალღო საზოგადოებრივ ცხოვრების უსწორმასწორობას, ერთა, ხალხთა და წოდებათა ურთიერთობის მიზეზებს და ამას ურკვევდა როგორც თავის მცირე წრეს სიტყვით, აგრეთვე ფართო საზოგადოებას წერით. წერვა დაიწყო 1888 წ. („თეატრი“ 1889 წ) მაგრამ თვისი ნაწამოები უმთავრესად 1892—93 წ. წ. შექმნა. სულ დასწერა 15 მოთხრობა, 2 პუბლიცისტური წერილი (ყველა დაბეჭდილია „ივ.“—„კვ.“): პატარა კრებული პირველად გამოსცა კ. თავართქილაძემ, მეორედ მანვე ერთ ტომად ტფ. 1904 წ. გაარჩიეს: 1) ივ. გომართელმა—„ხალხის გულის მესაიდუმლე“ 2) რუსულად—«Игнатй Ниношвили» 1905 წ. და სხვა.

ზოგი მოთხრობა გადათარგმნილია რუსულად, სომხურად, რამდენიმე პიესად გადააკეთეს („ქრისტინე“, „გოგია უიშვილი“, „მოსე მწერალი“, „სამწუხარო შედეგი“ და სხ.)

ნ-ის მოთხრობებში განისმის ჩივილი უსამართლობასა და უკანონობაზე, გლეხთა დაუსრულებელ უბედურებაზე. ნ-მა აღნიშნა ამის მიზეზი: სოციალური პირობანი და სამართლის წარმოების ნაკლულევანებანი.

მთელი მისი სამწიგნობრო ნაღვაწი სურათია ჩვენს ცხოვრებაში ახალი ხანის დაწყებისა, ახალი კლასების აღორძინებისა, ახალი ურთიერთობის დამყარებისა, ძველი შეხედულება რწმენა-ჩვეულებათა შერყევისა.

გარდაიცვალა ჭლექით 1894 წელს 29 აპრილს, დაიკრძალა 7 მაისს ს. ჩოჩხათის ეკლესიის გალავანში ერთ მთლიან ხისგან გამოკვეთილ კუბოთი. დასაფლავებას დაესწრენ დაბა-ქალაქთა, რედაქციათა და სხ. წარმომადგენელნი.

ნ-ს სამარესთან შემოიკრიბა პირველად 90-ნი წლების ახალი თაობა, მესამე დას დ წოდებული, შემდეგ ს.-დ. პარტია, რომლის სულისჩამდგმელი ნ-ი იყო და ახალი დასის მისწრაფებანი თავის ნაწერებში გამოსთქვა.

თავისუფალმა სამშობლომ ძეგლი (ბიუსტი) აღუმართა სამარეზე, შემდეგ 1923 წ. ტფილისში, ალექს. ბაღში, მუშათა სასახლის წინ საბჭოთა მთავრობამ დაუდგა ძეგლი, ხოლო ქართველმა მშრომელმა ხალხმა დიდი ხანია ნინოშვილს თვის გულში აუგო ხელთუქმნელი ძეგლი.

## ს. სვიმონიძე.

თუ სწორია ის აზრი, რომ ყოველი მოღვაწე თავის დროისგვარად უნდა შეფასდესო, მაშინ მსახიობ ს. სვიმონიძის—ს. პ. გოგოლაშვილის ამაგიც ქართული სცენის წინაშე დიდ-ნაყოფიერია. სასცენო ახოვანება, გამოთქმა, ხმა, გმირული გამომეტყველება, მგზნებარეობა მისი თავის დროზე ქართულ სცენის მშვენებად იყო მიჩნეული. მართალია, სასცენო განათლება არ ჰქონდა მიღებული, მაგრამ ბუნებითი ნიჭისა და ალღოს წყალობით ზოგიერთ როლების საუცხოო აღსრულებით იმ დროის თეატრში მოსიარულე საზოგადოებას, განსაკუთრებით მდაბიო ხალხს ხელოვნების ცეცხლს უკიდებდა. გარდა ამისა, ს. სვიმონიძე ცნობილი იყო გარე უბნის სცენების ერთ დაუღალავ მუშაკთაგანად, რაიც არა ერთგზის აღუნიშნავთ მისი მუშაობის მომსწრეთ საგანგებო ადრესებში, როგორც „ღარიბი ხალხის საკეთილდღეო უანგარო შრომა“ სასცენო ასპარეზე, რითაც თვისი სახელი შეიტანა ქართული თეატრის ისტორიაში.

**სვიმონიძე ს.—სვიმონ პავლეს ძე გოგოლაშვილი** (1863—1920)—მსახიობი, დ. 1863 წ. 14 იანვ. ს. საწულიკიძეოს, ქუთ. მ. მამა მღვდელი ჰყავდა. სწავლობდა ქუთ. სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ ტფილ. სამასწ. ინსტ-ში. ერთ წელს მასწავლებლობდა. 1883 წ ან ქუთ. საოლქო სამმართველოში მსახურებდა, 1889 წ. ტფ. რკინისგზის სამმართველოში სცენაზე გამოვიდა 1883 წ. ქუთაისში ეფრო კლდიაშვილის ხელმძღვანელობით( პავლეშვილის სახელით), 1889 წ. 8 დეკ. ტფილისში ვასო აბაშიძემ გამოიყვანა („ბაგრატ მე-IV ე“ ვახტანგის როლში) და სვიმონიძედ მონათლა. ასრულებდა საგმირო-სამიჯნურო როლებს. 1889—1909 წ.



გამუდმებით დასში იყო. მოხდენით შეუსრულებია: ლევან ხიმშიაშვილი („სამშ."), პაპუნა („ქართ. დედ."), ლევან („პატ. კახი"), არსენა, პეპო, გიჟუა, ჟაკი, („ორი ობ ოლი"), კარლოსი („ყაჩაღ."), იაგო („ოტ."), კინი, ვილლი („სოდ. წარღვ."), ერნანი და სხ. დრამ. საზ-ბის დავალებით ერთხანს რეჟისორობდა ავჭალის აუდიტორიისა და ავლაბრის სცენის მოყვარეთა წრეებს, ხშირად სახალხო-სასოფლო წარმოდგენებშიც მონაწილეობდა. 1909 წ. მიწვეულ იქმნა ნაძალადევის სახალხო თეატრის აშენების ხელმძღვანელად და რეჟისორ-მსახიობად. (ნაძალადევში პირველი წარმოდგენები თუმც მუშებმა დაიწყეს 1894-95 წ. წ., მაგრამ მუდმივი ბინა მხოლოდ 1909 წ. გაიჩინეს). ამ თეატრის წარმატება-აღორძინებისათვის უსასყიდლო შრომით ხ-ს თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის. ხ-ის მეცადინეობით დამტკიცებულ იქნა ნაძალადევის სახალხო სახ ის წესდება, მისივე მეცადინეობით ადგილობრივმა სახლის პატრონმა რკინის გზის ყოფ. მემანქანემ დ. დოდაშვილმა შესწირა თავისი სახლი დიდის ეზო-ბაღით ღირებული 40 ათას მ. „ეს სახლი ხალხისაგან მიმიღია და ხალხსვე ვუბრუნებო". 1916 წ. შემდეგ სოხუმში გიმნაზიაში ასწავლიდა ქართულ ენას, აქ დაარსა საგანგებო ქართული ენის სკოლა, სცენისმოყვარეთა წრე და თეატრი, გარდაიცვალა 1920 წ. 18 დეკ.

მისი შვილები არიან მსახიობნი თამარ გოგოლაშვილი და შალვა ხონელი.

**იოსებ იმედაშვილი.**

„ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი"-დან.

# „ტურა ქალები"

ვოდევილი 1 მოქმედებად.

**მოქმედნი:**

**გოგია ყრუაძე** 60 წ.
**მაკრინე**, ამისი ცოლი 60 წ.
**ზარასპი ჩხირაძე** 45 წ. | გლეხები
**ომფოლიქე ტვინაძე** 50 წ. |
**მღვდელი** 60 წ.
**ჯაჯუ კვარაცხელია**, გოგიას ნათესავი 40 წ.
**ბერი** 60 წ.
**მარჩიელი** (მკითხავი) 55 წ.

ს ც ე ნ ა: გოგია ყრუაძის ღარიბული მიწური სახლი. შუაზე ცეცხლი, ფარდის ახდისას სცენაზე არიან გოგია და ზარასპი.

**ზარასპი.** (მცირე პაუზის შემდეგ) ძაან გამოჩურჩუტებული კი ვყოფილვართ, ჩემო გოგია, ჩვენ სოფლის კაცები, ყველა გვასულელებდა: ჩვენ არასფერი ვიცოდით, სხვებსაც არ უჯერავდით.

**გოგია.** (ცეცხლს უზის და ყალიონს ეწევა) რაზე ბრძანებ, ზარასპი ჩემო, ამას?

**ზარ.** რაზედ და... აი მოწამეთში რომ იყო დავითი და კოსატილე.

**გოგ.** (გააწყვეტინებს და ხელებს ააპყრობს) დეილოცა მისი ძალი და დიდება.

**ზარ.** დეილოცა კი არა, ის არ გინდა...

**გოგ.** (შეშინებული გააწყვეტინებს) ღმერთო შეუნდე, ღმერთო მოუტევე ამ ცოდვილს, ამ უგნურს, ამ მუტრუკს, ამ ვირს, ამ ხვადაგს არ იცის რას ამბობს.

**ზარ.** (თავისთვის) ძაან არ მაქებს!

**გოგია.** (იმას) რამ გამოგაჩურჩუტა, შე საცოდაო! (ხელებს ააპყრობს) ღმერთო შეგცოდე, შენი მუხლის ჭირიმე! (იმას) მიაფურთხე ეშმაკს შე უბედური შენა, ერთი გოდორი მიწა შეჭამე მაგის თქმიზა.

**ზარ.** მიწამ შემიჭამა ყველა მღვდლები, ბერი, მონაზონი დიაკვნები და ეპისკოპოსები, თუ სადმე არიან ქვეყანაზე ეს მატყუარები.

**გოგია.** (პირჯვარს იწერს) ღმერთო დიდებულო! (იმას) კაცო, ზარასპი, გადაირიე თუ რას ჩურჩუტოფ.

**ზარ.** რას ვამბობ და აღერ გეტყვი ყველაფერს.

**გოგია.** (შეშინებულია) არ მითხრა, არა, არ მინდა! (პირჯვარს იწერს). ღმერთო დიდებულო, ესე მაცხოვარო, მარიამ ღვთისმშობელო, ივანე ნათლისმცემელო, მიქელგაბრიელ თავარ ანგელოზო, პეტრე მოციქულო, ყველა წმინდანებო (დაიჩოქებს) და წმინდანო ხორციელნო დავით და კოსატილე.

**ზარ.** (გააწყვეტინებს) შე უტვინო, ხორციელი კი არა, გამოფშუტურებული ძვლების მეტი არაფერი ყოფილა.

**გოგია.** დედა, დედა, დედა, რა მესმის, ვაი, ვაი, ვაი!

**ზარ.** ვაი შენ და თიაქარი! დამიგდე ყური და გეტყვი.

**გოგია.** არც ყურს დაგიგდებ და ნურაფერსაც მეტყვი, (ააპყრობს ხელებს) შარშან, დეილოცა მათი დიდება, მარჯვნით გადმობრუნდა დავითი და კოსატილე მარცხნით და როვალი კაი მოსავალი იყო.

**ზარ.** (სიცილით) ისე გადმობრუნდი შენ ლოგინზე, რომ დაწვე, როგორც იგენი გადმობრუნდენ. სად გინახავს, რომ ძვლები მისით ბრუნდებოდენ!?

**გოგია.** რისი ძვლები, რას ამბობ?

**ზარ.** (სიცილით) იმ კუბოში. სადაც დავითი და კონსატილე ესვენა, ძვლები იყო ჩაყრილი.

**გოგია.** (ოხვრით) რას მოვესწარ ამას, რას!

**ხმა.** (გარედან) გოგია, გოგია.

**გოგია.** (დგება, მივა კარებთან და გასძახებს) ვინ ბრძანდები?

**ომფოლიქე.** (გარედან) მე ვარ, ომფოლიქე, ერთი მნახე.

**გოგია.** (გადის კულისებში) მობრძანდით, ომფოლიქე ჩემო, მობრძანდით.

**ომფო.** ზარასპს) შენც აქ ხარ ზარასპი ჩემო, გამარჯობა შენი.

**ზარ.** გაგიმარჯოს ჩემო ომფოლიქე.

**გოგია.** დაბრძანდით, დაბრძანდი.

**ომფ** რაღა დავბძანდე რა, იმ შეჩვენებულ მღვდელმა ქე მომასწრო სამი ბათმანი სიმინდის გამორთმევა; სამი ბათმანი სიმინდი ჩემ ბაღნებს ერთ თვეს ეყოფოდა.

**ზარ.** მაგას არ ვჩივი! მეც ქე გავატანე იმ ღვთისაგან შეჩვენებულს. ამას (უჩვენებს გოგიას)

მოუყევი კაცო და კინაღამ მომკლა, ამბობს: დავითი და კოსატილე შარშან გადმობრუნდა და კარგი მოსავალი იყოვო.

**ომფ.** ისე გადმოუბრუნდა მღვდლებს გვარი და ჯილაგი, როგორც ისენი გადმობრუნდენ... სამი ბათმანი სიმინდი კი არა, სული რატომ არა მოგვართვა, ახი იყო ჩვენზე გველაპარაკებოდენ ის კაცები: მღვდელს ნუ უჯერხართ, მაგენი ქრისტეს სახელით ტყავს გაძრობენო, მაგრამ ჩვენ არ გვჯეროდა.

**ომფ.** ჩვენ ხომ ვიძახდით დავითი და კოსატილე ხორციელი და ყოველის შემძლე არისო, ტყუილი გამოდგა. ამ წინაზე ბალშევიკებმა ყველა სოფლიდან მოწამეთში მორწმუნე ხალხი მიიყვანეს. ჩვენი სოფლიდან გაიგზავნა ნიკოლა, ღვდე ის ალილუს რომ უმღერდა ეკლესიაში. მერმეთ დეესწრო თურმე მთელი სერესკელი ხალხი. ახადეს თავი ამ შენ ხორციელ დავით და კოსატილეს და აღმოჩნდა ამოხაბაკებული დამოჩურჩუჭებული ძვლები.

**გოგია.** (გაოცებული, თვალებ-დაჭყეტილი თავისდაუნებურად პირჯვრის წერით) მერე არ გააქვავა იქინე ყველა?

**ზარ.** მე და შენ რომ ვყოფილიყავით და ჩვენ აგვეხადა კუბო, მართლაც შიშისგან სული ამოგვძრებოდა ყურდღელივით, მარა იგენს ფერიც არ შეცვლია იმიტომ, რომ იგენმა იცოდენ, თუ რა ხვითოები იყო შიგ...

**ომფ.** გუშინ ჩამოვიდა ეს ჩვენი ნიკოლეც, მოუყარეს ხალხს თავი, მოვიდა ცა და ქვეყანა; სამტრედიიდან ამოვიდა წამომარდგენელი კიკაჩეიშვილი. გააღეს ეკლესია, შევიდა ხალხი შიგ. წამოდგა ასავლის კარებთან წამომარდგენელი და დაიწყო ლაპარაკი; თქვა მარა რა თქვა! იმ მამაცხონებულმა ყველა მღვდლები ჯანდარაში გაარონია, გამოიწვია მღვდლები თავი ემართლებიათ, მარა შენც არ მომიკვტე, ჩვენი მღვდლები ხმას არ იღებდენ, შეიმალენ იქვე საკურთხეველში და ენა მუცელში ჩაუვარდათ...

**გოგია.** არც ჩვენმა წმიდა გიორგიმ გააქვავა იქვე ყველა?!

**ზარ.** გააქვავა კი არა! დავაკვირდი ყველა ხატებს და ისე დაეყვლიპინებიათ თვალები, როგორც ოჩხამურის გომბიოს. ამის შემდეგ, ომბოლიქე ჩემო, წავედით სახლში მე და ჩემი დედაბერი. ამ დიდმარხვაში შავ ორშაბათს და ქე გიახელით ყველი, კვერცხი და დავაყოლეთ ზედ მშვენიერი ღორის მაშხი.

**გოგია.** აბა სასწაული არ მოუხდენია? არავინ არ გააქვავა?

**ზარ.** ისე იხარა მისმა მომგონმა!

**გოგია.** აბა არასფელი არ შენაძლება? მარა ძვლები კი არა, წვერ-ულვაშიანი ახალგაზდა არიანო და ხოტორა გამოფშუტურებულ ძვლების მეტი არაფელი არის?

**ზარ.** წვერ-ულვაშს, თურმე, პარიკმახერი ონისიმე ნიკოლეიშვილი უკეთებსო.

**ჯაჯუ.** (შემოდის) კაი გამარჯობა თქვანი.

**გოგია.** (ადგება) ღმერთმა ჯაჯუს გაუმარჯოს (ომფოლიქეს და ზარასპის ეცნობა) ჯაჯუ კვარანცხელია, მეგრელიიდან.

**ზარ.** (ეცნობა) ომფოლიქე ტვინაძე.

**გოგია.** დაბრძანდი, დაბრძანდით. (ყველანი სხდებიან).

**ომფ** (მცირე პაუზის შემდეგ) დავითი და კოსატილე თურმე მეგრელები ყოფილა, გვარათ მხეიძეები.

**ჯაჯუ.** ქო სკანი ჭირი, ქო, ჩქიმი ძარკუ ხეციას სკუალებირენა.

**ომფ** (გადახედავს) რა ბრძანეთ თქვენ ბატონო, ვერ გავიგონე.

**ჯაჯუ.** ჩემი ძარკუ ხეციას შვილებია ჭალადიდიან.

**გოგია.** რაო? მეგრელიო ჭალადიდანო?

**ჯაჯუ.** ყინოსკუა.

**ომფ.** რაო?

**ჯაჯუ.** აზნაური.

**გოგია.** რაო? აზნაურიო?

**ჯაჯუ.** ქო, ქო სი ვადომღურე.

**ზარ.** რა ბძანეთ ბატონო?

**ჯაჯუ.** (მეგრული აკცენტით) ჭალადიდელია პატენი, ჭალადიდელი აზნაური.

**გოგია.** ვაი ჩემი გაჩენის დღეს, ჭალადიდელი ყოფილა, მეგრელი აზნაური.

**მაკრინე.** კაი გამარჯობა თქვენი, კაი გამარჯობა! (შეხედავს ჯაჯუს) ვოი, შენ დაგენაცვლე, ჩემო ჯაჯუ (კოცნის გოგიას) კაცო გოგია, როგორ დამჯდარხარ, სტუმრებს ასე უნდა!

**ზარ.** ქალბატონო მაკრინე, გოგია გამიჯავრდა, არ სჯერა, რომ ხორციელი დავით-კოსატილეს მაგივრათ აღმოჩნდა გამოხოტორებული ძვლები.

**მაკ.** აბა ბეჩა, სასწაულია სწორეთ, სასწაული.

**გოგია** (წყრომით) შენ რა იცი, შენც დამიწყე კურსონიკობა!

**მაკ.** კურსონიკობა ამას რათ უნდა, მეც ქე ვიყავი დღეს კრებაზედ, იმ კაცმა, რომ გამოაცხადა.

**გოგია.** ვინ კაცია, ან რა გამოაცხადა.

**მაკ.** ვინ კაცია და კიკაჩეიშვილი, აღმასკომის თავმჯდომარე. გასაპარსავია ყველა მღვდლები... როგორ იყვნენ გათანთალებული საშობო ღორებსავით, მარა აწი გასაკნასავს, რომ ვერ იშოვიან, ქე შემოაჭკნებათ ლოყები მატაიკი ყლაპიძესავით.

**ჯაჯუ.** ჩქი კულბო გავაკეთით ოხვამე.

**ზარ.** რას ბრძანებთ?

**ჯაჯუ.** (მეგრული აკცენტით) ჩვენ კულბათ გავაკეთეთ ეკლესია.

**გოგია.** რაო? რათ გავაკეთეთო? კუბოთო?

**მაკრინე.** კუბო კი არა, კულბათ გავაკეთეთო

**გოგია.** რა არის მერე კულბი?

**ომფ** რა არის და ტრიატი.

**გოგია.** მერე, რას აკეთებენ შიგ?

**ზარ.** რას აკეთებენ და დგამენ წარმოდგენებს, კითხულობენ ისტორიას.

**ჯაჯუ.** კითხულობენ ლექციას.

**ომფ.** (თავისთვის) რას შემოგვიჩნდა ეს მეგრელი! (იმას) რას ბრძანებთ ბატონო?

**ჯაჯუ.** კითხულობენ ლექციებს.

**ზარ.** (თავისთვის) განათლებული კაცი ყოფილა. (გოგიას) ხო კითხულობენ ლექციას და ასწავლიან როგორც პატარებს, ისე დიდებს.

**გოგია**. კაი მამა, კაი! ეს სჯობს, მარა აქაც ხომ არ მოგვატყვილებენ.

**იმფ**. აქ მოტყვილება აღარ შეიძლება. აქ, ზეცაში აღარ იჭყიტებიან,—აქ ყოველივე ცხოვრების უკუღმართობას თვალით დაგანახებენ.

**ზარ**. ღმერთმა ააშენა მაგათი ოჯახი, ეკლესიის მაგივრად კლუბებს და კლასებს ამრავლებენ. ჩვენ ადრე რომ გვესწავლა და დაგვეჯერებია, ასე არ შეგვჭამდენ მღვდლები და მარჩიელები.

**გოგია**. (ჩუმათ ცოლს) მოი დედაბერო აქ ერთ წამს.

**მაკ**. (მიდის) რა გინდა კაცო.

**გოგია**. (ჩუმათ) შენ შენი ყურით გაიგონე ეს?

**მაკ**. ჩემი ყურით აბა, მატაიკი ტყლაპიიძეს ყურით გავიგონებდი.

**გოგია**. ქალო რას წყრები, რატომ ხარ ასე უხიაკი შე უბედურო შე.

**მაკ**. არც გიწყრები და არც არაფელი, უხიაკი და უკმაკური შენა ხარ.

**გოგია**. კაი ეხლა მითხარი ქალო.

**მაკ**. ჩემი ყურით, ჩემი ყურით გავიგონე... დე და, როგორ სამთელივით იყვნენ ჩამომდნარი მღვდლები და დიაკვნები. იგენს რომ დღე დააყენეს, თუ პირწავარდნილი უტიფარი არ ყოფილიყვნენ, იქვე უნდა მოკვტარიყვნენ...

**გოგია**. ასეა მამა, ასე, თავიდან უნდა მცოდნოდა: კაცი რომ კაბას ჩაიცვამს, იმისაგან სიკეთე არ გამოვა.

**მაკრ**. აბა, ბეჩა, აბა!

**ომფ**. პრუსტოი ყოფილა ყველაფერი, პრუსტოი.

**გოგია**. კი, მამა, კი, პრუსტოია, პრუსტოი.

**მღვდ** აქა მშვიდობა (გადასახავს პირჯვარს, ჩამოყვება და სათითაოთ ხელს ართმევს, ხელის ჩამორთმევის დროს სცდილობს, რომ მას ხელზედ აკოცონ, მაგრამ პირს არიდებენ, განსაკუთრებით გოგია).

**ზარ**. ერთი პრუსტოიც მოვიდა.

**მაკ**. რა უნდა ნეტა ამ უტიფარს.

**მღვდ**. (რაკი სკამს არ აწვდიან, თვითონ მოიწევს, მოიტანს შუა ადგილას და დაჯდება, ჯოხს წინ დაიბიჯებს, ყველას სათითაოთ ჩაჩერებია. დიდი პაუზის შემდეგ). კარგი მოსავალი იყო წელს.

**ზარ**. (პაუზის შემდეგ) კარგი.

**ომფ**. დავით და კოსანტილეს უნდა დაუმადლოთ.

**მაკრ**. (სიცილით) დიახ. დიახ.

**მღვდ**. ჭეშმარიტათ, ჭეშმარიტათ. (პირჯვარს გადასახავს) დეილოცა მათი დიდება.

**ზარ**. (იდუმალი დაცინვით) ჭეშმარიტად ყოველისფერი სასწაულია. მამაო, აგერ ვირი მომიკვდა და ანდერძად დამიტოვა—მღვდელი მომიყვა და სული მიცხონეო.

**მღვ**. (შემრეზილი). ღვთის არ გეშინია მერე მაგისთანა სიტყვისთვის.

**ზარ**. რათა, მამაო. ჩემი ვირი რომ კვდებოდა, ასე მითხრა: აგერ ათი თუმანი ოქრო მაქვს და რომელმა მღვდელმაც მიწიროს, იმას მიეციო. რაკი არ ნებულობ, სხვას ვნახავ.

**მღვ**. (მოლბება, მოთვინიერებული). აგრე მეტყოდი შვილო. ანდერძის დარღვევა არ შეიძლება. როდის გარდაიცვალა განსვენებული თქვენი ვირი?

**გოგია**. რაიო, განსვენებულიო?!

**ომფ** აუერუმ მღვდელო! (ყველანი გაიცინებენ).

**მღვ**. (ცდილობს უხერხულ მდგომარეობიდან თავი იხსნას). ყოველივე შესაძლოა ღვთის ძალითა!..

**გოგია**. (თავისთვის) ისე აგიშენდა ოჯახი შენ.

**მღვდ**. (გოგიას სიტყვებს გაიგონებს უხერხულათ იგრძნობს თავს, ცოტას ჩაახველებს, შემდეგ) მგონებ დავილუპე, ესეც არ მიპირობს სიმინდის მოცემას. (იმას) შვილო გოგია, მე სიმინდიზა მოვედი.

**გოგია**. (თავისთვის) ქე წახვალ ცარიელი. (იმას) რეიზა უნდა მოგცე სიმინდი!

**მღვ**. როგორ თუ რეიზა, წირვა ლოცვისათვის!

**გოგია**. (გულმოსული) რა უპასუხე გუშინ წარმომადგენელს?

**მღვდ** (დაბნეული) რა უნდა მე-პა-პა-პასუ-სუ-ხა.

**გოგია**. (დავითი და კოსანტილე ხორციელია?

**მღვდელი**. (წამოდგება დაბნეული, ჯოხი ხელიდან გაუვარდება) დ დ-დ-და ვით-თ-თ თ და კო-კო კოს-კოს-ტან-ტან-ტიდი ტილ-ტილ...

**გოგია**. ტილებმა შეჭამა შენი სული და ხორცი. (გულმოსული) დავითი და კოსანტილე ხორციელია?

**მღვდელი**. დ-დ-დიახ ხო-ხო დიახ დიახ დ დდიახ. სიმინდს მომცემ.

**გოგია**. (წამოდგება) შავ ქვას მოგცემ... მცარცველებო, ყაჩაღებო, ავაზაკებო, პლუტებო, ჯიბგირებო, არც კი გრცხვენიათ ამხელა ტახივით კაძახები დაძუნდგავხართ სოფელში (კიბაძის მოზვერივით და დათხოვილობთ. არმათ შეგერგოთ რაც წამართვით, შხამათ და ბალღამათ ჩაგმწარდათ ჩემი ბალნების წანაგლეჯი. (ბრძანებით) ეხლა წადი, არ დამენახო! ჩამიმწარეთ სიცოცხლე სიბერის დროს, ჩაგიმწარდეთ თავი—გასწი.

**ბერი**. აქა მშვიდობა! (პირჯვარს გადასახავს) ძმებო და დებო, მოწამეთიდან ვარ და თუ ვინმეს გაქვს გასაცემი მიცვალებულისთვის საწირავათ.

**ომფ**. მოვიდა სიფთა (ყველანი იცინიან).

**მარჩიელი**. აბა გოგიე, სამარჩიელო რომ შემპირდი!

**გოგია**. (გაჯავრებული წამოავლებს ჯოხს ხელს) რა დამესია ეს ტურა-ქალები! (გაიწევს დასაკრავათ) გამშორდით.

(მღვდელი, ბერი და მარჩიელი კივილით გავარდებიან. მაკრინე, ომფოლიქე და ზარასპი იცინიან).

**ჯაჯუ**. თო ჯიმა ღურელი.

ფარდა

სოფ. საჭილაო. **ირაკლი ბოხუა**.

1923 წ.

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი**.

# სათეატრო მიმოხილვა

**რუსთველის თეატრი** დიდიხანია ასე არ ამეტყველებულა მშობლიური განცდითა და ფერებით, როგორც სამშაბათს, აპრილის 22. ამ დღეს აკაკი ფალავამ დასდგა „სამანიშვილის დედინაცვალი“, დ. კლდიაშვილის მოთხრობიდან შ. შარაშიძის მიერ სასცენოდ გადმოკეთებული. წარმოდგენას თან სდევდა მთხრობელი (ალ. ჟორჟოლიანი), რომელიც სასცენოდ გადმოღებულ სურათებ შორის გამოტოვებულ ადგილებს მოუთხრობდა დამსწრეთ. თხრობა და სანახაობა ერთი მეორეს ამკობდა.

ეს იყო ახალი.

ქართველი მსახიობი ძლივს თვის ქერქში დავინახეთ,—და გასაოცარის სინამდვილითაც განასახიერეს ჩვენი ცხოვრების ცრემლნარევ სიცილით მოსასმენი ამბავი, ნამდვილი ტრაგედია. მხატვრული სრულქმედობით ერთიმეორეს ეჯიბრებოდენ აკ. ვასაძე და ალ. ჟორჟოლიანი, შ. ღამბაშიძე და უშ. ჩხეიძე, პლ. კორიშელი და... რომელ ერთი ჩამოვთვალოთ. თვით პლატონ სამანიშვილის ნათხოვარი მჭლე ცხენიც კი ამიერიდან გაუკვდავდა,—ესეც ახალი ყაიდა: სცენაზე ცხენებით მიმოგზაურობდენ.

პიესის დადგმას დაკვირვება ემჩნეოდა, თუმც ცხოველმყოფელობა აკლდა, დეკორაციებს მკვდრული ელფერი დაჰკრავდა, თითქოს ნაჩქარევად მოეფიშფიშებინათ; აგერ-იგერ განათებაც მოიცელქებდა (დაგვიანება თუ უცები განათება)

რაც უცხო პიესების მომზადება-დადგმაზე იხარჯება, მისი ნაათალი რომ ამ ნაწარმოების მომზადებისათვის მოენდომებინათ, — რეპერტუარის გვირგვინი შეიქმნებოდა.

საღამო იყო ჯანსაღი სიცილისა, ყოფა-ცხოვრების ნამდვილი სარკე: გასართობი და ამავე დროს ჭკუის მასწავლებელი!

**იობი.**

**ქუთაისის თეატრს** ოთხი-ხუთი წელიწადია ასეთი შემადგენლობა და რეპერტუარი არ ღირსებია, როგორც წელს. იუზა ზარდალიშვილის გამოცდილმა ხელმა გადალახა ყოველივე დაბრკოლება და საქმეს ღირსეულად გაუძღვა. უმთავრეს ძალას დასისას შეადგენდნენ: ვ. გუნია, ი. ზარდალიშვილი, ა. მურუსიძე, მ. სარაული, შ. ჯაფარიძე, პ. ფრანგიშვილი, ვ. გამყრელიძე, ელ. ჩერქეზიშვილი, თ. აბაშიძე, თ. ჩარკვიანი, ელ. სიბილა და სხ.

სცენაზე შეიქმნა დისციპლინა, რაიც ქართველი მსახიობისათვის უცხო ხილია: წარმოდგენები იწყებოდა დროზე და თავდებოდა არა უგვიანეს თერთმეტი საათისა, მსახიობნი დანიშნულ ვადაზე მოდიოდენ სამეცადინოდ. კვირეში იდგმებოდა სამი პიესა. მთელი სეზონის განმავლობაში წარმოდგენილი იქნა 90 სხვა და სხვა პიესა. მრავალჯერ განმეორებული იქნა: ბერდო-ზმანია, სამანიშვილის დედინაცვალი, კაცის სამართალი, დაძირული ზარი, ჰამლეტი, მეფე ლირი, ხანუმა, კარგად შეკერილი ფრაკი და სხ. ხალხი ყოველთვის აუარებელი ესწრებოდა. საქმე სერიოზულათ იყო დაყენებული და მაყურებელიც გამსჭვალული იყო ამ სერიოზულობით. დიდი მადლობის ღირსია ადგილობრივი მთავრობა, —როგორც აღმასკომი ისე განათლების განყოფილება, რომელმაც არაფერი დაიშურა საქმის მოგვარებისათვის და, შეძლებისდაგვარ, ხელს უწყობდა. აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად იუზა ზარდალიშვილს მიენდო მომავალ ზამთრის სეზონისათვის დასის შედგენა და ხელმძღვანელობა.

**ზ-ი რიონისპირელი.**

**სოფ. პატარძეული** (გარე კახეთში) მდებარეობს ტფილისიდან ორმოციოდე ვერსზე, მდ. იორის მარცხენა მხარეს. მთელი სოფელი ხავერდივით გადაშლილია ტრიალ მინდორზე. კულტურის მხრივ ძლიერ ჩამორჩენილია: თუმცა სოფელს აქვს შრომის სკოლა და წიგნთსაცავ-სამკითხველო, მაგრამ ეს არ კმარა: ამ ვეებერთელა სოფელში, სადაც მცხოვრებთა რიცხვი 1·200 კომლს უდრის, ერთი ისეთი შენობა არ მოიპოვება, რომ სისტემატიურად წარმოდგენები იდგმეოდეს, რომელიმე საინეცნიერო დარგიდან ლექციები იკითხებოდეს და სხ. ამ ოცდა ხუთიოდე წლის წინად მოქ. პ. ყუშიტაშვილმა ააგო ზემოდ ნახსენები წიგნთ-საცავ-სამკითხველო; ამაზე უფრო ადრეც დაარსდა დრამატიული წრე, რომელიც ყოველ ზაფხულ წარმოდგენებს მართავდა, დღეს კი ყოველივე ეს ჩახშულია. მართალია გასულ წლის ზაფხულს სოფელში დაარსდა დრამატიული საზოგადოება, აირჩიეს გამგეობა, რომლის მოვალეობაც იყო რაიმე საშუალება გამოენახა თეატრის შენობის ასაგებათ, მაგრამ ყოველივე შრომა ამაო გამოდგა. თუმცა სოფელს ჰყავს შეფთა კომისია, რომელიც თავის წვლილს არა ზოგავს სოფლის კულტურულ საქმის აღორძინებისათვის, მაგრამ ყოველი ეს „წვეთია ზღვაში“ და ამით არავითარი თეატრის დარბაზი არ აიგება, თუ თვით ხალხმა არ გამოიდო თავი. რას ფიქრობენ სოფლიდან გასული ქალაქში დაწინაურებულნი?

**ივრისხეველი.**

**გარე კახეთის** სოფლები ახბულახი, ნინოწმინდა, გიორგიწმინდა და სხ. კულტურულად ჩამორჩენილია, არსად არ მოიპოვება სახალხო სახლები. საჭიროა ეს სოფლები ისეთ დონეზე მაინც დავაყენოთ სწავლა-განათლების მხრივ, როგორც მათი მეზობელი სოფლებია: საგარეჯო და ხაშმი, სადაც ყველა კულტურული დაწესებულებანი არსებობენ.

**ივრელი.**

**ავჭალის ჰიდრო-ელსად. თეატრში** პროლეტ. მწერალთა ჯგუფმა სამშაბათს, აპრილის 22-ს გამართა მფრინავი საღამო. დაესწრენ ელსადგურზე მომუშავენი, დაახ. ორი ათასამდე მუშა. ამ საღამოსთვის ტფილისიდან საგანგებოდ ავტომობილით ამოვიდნენ მუშა-მწერლები: გ. ხეჩუაშვილი; გ. შინატეხელი, აგრეთვე—ი. გედევანიშვილი, რ. კალაძე, ს. ეული, პ. სამსონიძე და ნ. ინასარიძე. პირველი მოხსენებით გამოვიდა ს. ეული პროლეტარულ მწერლობის შესახებ, რ. კალაძემ წარმოსთქვა სიტყვა მუშათა კანონმდებლობის შესახებ, ი. გედევანიშვილმა—ლენინის დაბადება-აღზრდა და მოღვაწეობის შესახებ, შემდეგ—მუშა-პოეტებმა წარმოსთქვეს ლექსები, რაც ძლიერ მოეწონა ხალხს და მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს. ნასიამოვნებმა მუშებმა სთხოვეს—ასეთი საღამოები ხშირად გაგვიმართეთო.

ი.

**გორის** განათლების განყოფილების სათავეში მდგომი ამხ. ვ. ხოსბერიძე ხელოვნების მოყვარულია და ფრიად ზრუნავს თეატრის ბედ-იღბალზე. რეჟისორად მოწვეულია ალექ. ჯაყელი, რომელიც საკმაო ენერგიას იჩენს მუშაობაში და მთელი რიგი საუკეთესო პიესებისა უკვე მზათ არის დასადგმელად: № 21 ჯვრით, ქრისტინე, სტუმარ-მასპინძლობა, კაი გრახკ, მეფის დალაქი და სხ. საქმეს აფერხებს მხოლოდ დეკორაციები და ტანისამოსის უქონლობა.

ესეც ეწყობა, მაგრამ ძლიერ ნელის ნაბიჯით. საჭიროა მეტი სიცოცხლე საქმეში, საქმის მეტი დაშურება. საზოგადოება მზათ არის და მოუთმენლად მოელის რიგიანათ შესრულებულ წარმოდგენებს.

აქვე შესდგა გუნდი საუკეთესო მომღერალთაგან და იმედი გვაქვს მოქ. რაზმაძე იმდენ უნარს გამოიჩენს მოკვასმენინებს დამაკმაყოფილებელ კონცერტებს, დამამშვიდებელ სიმღერებს, რომ დაკვმსილ გულს ცოტათ მაინც ეფონოს.

**მ. გარიყული.**

**სამტრედიაში** არსებული თეატრის შეკეთებას შეუდგა პროფკავშირი. თეატრის შეკეთებას დიდის თანაგრძნობით ეკიდება ალმასკომის შემადგენლობა კიკაჩეიშვილის თავმჯდომარეობით და პარტკომი ილ. სტურუას თავმჯდომარეობით. თეატრის შეკეთება ამ მოკლე ხანში დასრულდება, რისთვისაც გადადებულია საჭირო თანხა ზემოაღნიშნულ ორგანიზაციებისგან. სდგება დრამატიული წრე პროფკავშირის შენობასთან.

სეზონი ახლო ხანში გაიხსნება.

—ი.

**სახალხო თეატრში** აპრილის 20-ს ქართული დრამის დასმა წარმოადგინა პირველად გ. თაზიშვილის მიერ ნათარგმნი პიესა ფრაპანისა „ზნეობის დამცველნი“. გაბატონებული საზოგადოების გახრწნილება-ფარისევლობა და მისი აშკარა უზნეობის დამცველი მართველობა ერთის მხრივ და მეორეს მხრივ მათგან დაწიხლული-გაუბედურებული ხალხი,—აი მოკლედ მისი შინაარსი.

პიესა დასდგა მ. ღვამიჩავამ. ხალხმა ტაშისცემით დააჯილდოვა მთარგმნელი და მოთამაშენი.

**უ-ნო**

**„ჯეირანი“-ს** წევრთა საზოგადო კრება შესდგა აპრილის 20-ს. კრებამ მოილაპარაკა საორგანიზაციო საკითხების შესახებ და საგანგებო მოხსენება წარუდგინა სახალხო თეატრის გამგეობას მომავალი მუშაობის გეგმის შესახებ. მოხსენებას შემდეგ დავბეჭდავთ.

ლითონის ჩამომსხმელი და მექანიკური სახელოსნო

ამხ-ბა

„კავკაზი“

იღებს ყოველგვარ სამექანიკო, საარმატურო საქმეებს (წყალსადენის, კრანების, შპანგალეტების, ყურძნის სარწყავების და სხ. შეკვეთებს).

**საქმეები სრულდება დანიშნულ დროზე, პირნათლად და ხელმისაწვდენ ფასებში.**

**მისამართი:** თბილისი. პლეხანოვის ქ. № 59.

პატივისცემით: **თუშმალიშვილი.**

სტამბა გაზ. „ზარია ვოსტოკა“-სი, საშა წულუკიძის ქუჩა, № 4. ნება დართულია № 1333